დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სოფიო ტარასაშვილი

წევრები:

ლია გრიგოლია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მზია კიპაროიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220373762

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდი
ფაქტობრივი მისამართი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, აღმაშენებლის ქ. №84
საფოსტო ინდექსი	2100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1487?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kakhati1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	№493538, 06/05/2025 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 09 და 10 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, აღმაშენებლის ქ. №84, ერთი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, აღმაშენებლის ქ. №84, ერთი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, აღმაშენებლის ქ. №84, ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ" სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის №493538, 06/05/2025 წ. ბრძანებით გასაზღვრულ ვადაში - 2025 მწლის 09 და 10 ივნისს. ვიზიტამდე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაცია; ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრების შეხვედრა ონლაინ რეჟიმში, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. ასევე, ექსპერტთა მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისგან გამოთხოვილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები, რაც სკოლამ წარმოადგინა შესაბამის ვადაში. სკოლის მიერ წარმოდგენილმა მასალამ ექსპერტებს მისცა შესაძლებლობა შეესწავლათ ინფორმაცია დაწესებულების შესახებ.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით - Microsoft Teams პლატფორმით.

ვიზიტის განმავლობაში დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოიჩინეს თანამშრომლობის მაღალი კულტურა. შეფასება განხორციელდა კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის ინფრასტრუქტურა, სკოლის ინკლუზიური გარემო, დოკუმენტაცია, პირადი საქმეები. ვიზიტის დროს განხორციელდა დირექციის წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიურება. საგნობრივი ექსპერტები შეთანხემებული განრიგის შესაბამისად Microsoft Teams პლატფორმით გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრების წარმომადგენლებს. შეხვედრების პროცესში საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და ვიზიტის შემდეგ მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების პროცესში. ვიზიტის ორივე დღეს teams პლატფორმით შედგა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაერთიანებული/შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც გაზიარებულ იქნა შთაბეჭდილებები, მიგნებები, და შეთანხმდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საკითხიც.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ დროულად წარმოადგინა ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია. საგნობრივმა ექსპერტებმა ჯგუფის თავმჯდომარესა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთან შეთანხმებულ ვადაში წარმოადგინეს შეფასების ფორმები.

გაზიარების თვალსაზრისით, არჩეულ იქნა outlook onedrive-ის საქაღალდე, რომელზეც წვდომა ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს. პროცესში გათვალისწინებულ იქნა ჯგუფის წევრების გამოცდილება და უკუკავშირი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ექსპერტთა გუნდს მიაჩნია, რომ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების მიზნით საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში ჩართულობა. მაგალითისთვის, გერმანიის საგანმანათლებლო სისტემის გაცნობის მიზნით სკოლა მონაწილეობდა ჰამბურგში, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივაში ,,სკოლები მომავალი პარტნიორები", ასევე, სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ბრემენის საერთაშორისო ეკოლოგიურ კონფერენციაში (სკოლის გუნდს ხელმძღვანელობდა ქიმიის მასწავლებელი), გერმანული ენის მასწავლებელი მონაწილეობდა გერმანული ენის მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენციებში - გერმანიაში, იტალიასა და შვეიცარიაში და ა.შ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლა ამ ღონისძიებებში ჩართულობისა და მონაწილეობის შემდეგ, სკოლა საკუთარ პრაქტიკაში ნერგავს საუკეთესო გამოცდილებას სწავლების განვითარების მისაღწევად.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოადგენს ერთ-ერთ საფუძველს იმისა, რომ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლას აქვს მისია - ხელი შეუწყოს მოსწავლეების მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაციას. მიზნის მისაღწევად სკოლა განავითარებს განათლების ხარისხს როგორც ჰუმანიტარული, ასევე ტექნიკური მიმართულებით. სკოლაში მიღებული განათლებით არაერთი წარჩინებული კურსდამთავრებული აგრძელებს სწავლას უცხოეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში, როგორიცაა - ლაიფციგის, საარბრიუკენის უნივერსიტეტები, ჰუმბოლტის უნივერსიტეტი ბერლინში, ვენის უნივერსიტეტი, ბონის სამედიცინო უნივერსიტეტი, ვენის კონსერვატორია და სხვ.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 600	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*ხარვეზი*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***ხარვეზი***
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას არ აქვს შშმ/სსსმ პირებისათვის მე-2 და მე-3 სართულებზე გადაადგილებისათვის ლიფტი/პანდუსი. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი კორესპონდენციები და სსიპ საგანმანატლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან მიღებული წერილის საფუძველზე, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს პრობლემა და აღმოფხვრის **თარიღად დადგენილია 2026 წლის 21 ივლისი. ინდიკატორი შეფასებულია - მეტწილად შეესაბამება.***

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი*	*მიზანშეწონილია, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება დაწესებულებაში.*

	ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიე ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამ დასახელება)*	***რჩევა***
ინდიკატორი N2.1.2.1.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***დაწყებითი საფეხური ,საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *მესამე კლასის კურიკულუმში პედაგოგმა გაითვალისწინოს სავალდებულო თემები ე.ს.გ.-ის სტანდარტიდან და შესამისად დაგეგმოს.*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებ*	***დაწყებითი საფეხური*** ***მათემატიკის*** *III და IVკლასის კურიკულუმებში მასწავლებლებმა აქტივობების შესაბამისად ჩაასწორონ ცნებები.*

ინდიკატორი N2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები (საბაზო და საშუალო საფეხური)*** *უმჯობესია განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისას, კრიტერიუმები თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიხედვით იქნას შედგენილი.* ***საბუნების მეტყველო მეცნიერებები*** *- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის მესამე კლასის კურიკულუმში პედაგოგმა გაითვალისწინოს სავალდებულო თემები ე.ს.გ.-ის სტანდარტიდან და შესამისად დაგეგმოს.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი კახათის N1 საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმასთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა მესამე სტანდარტის ინდიკატორთან (3.5.1.4) მიმართებით; ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი კახათის N1 საჯარო სკოლის დასკვნის პროექტის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული (შესრულების ვადის ცვლილება) შესაბამისობის გეგმა და შესაბამისი დანართები აღნიშნულ ინდიკატორთან (3.5.1.4.) დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით:
3.5.1.4. - ინდიკატორი (რომელზეც სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დაკორექტირებული ვადა) კვლავ შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა არაუმეტეს 12 თვისა.
ასევე, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი კახათის N1 საჯარო სკოლა ეთანხმება ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებს და ითვალისწინებს ეტაპობრივად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლის მისიაა - უზრუნველყოს მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებები; აღზარდოს პიროვნება, რომელიც შეძლებს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მონაპოვრების დაცვას და მსოფლიო სივრცეში თვითრეალიზაციას. სკოლის მიზანია მოსწავლე აღზარდოს აქტიური მოქალაქედ, რომელიც შეძლებს საკუთარი და სხვისი ღირსებისა და უფლებების დაცვას, კულტურული მრავალფეროვნების დაფასებას, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასებას, მოქალაქეობრივ აზროვნებას, ექნება შემწყნარებლური დამოკიდებულება, პასუხისმგებლობა ოჯახისა და ქვეყნის წინაშე.

სკოლას აქვს ამბიციური ხედვა განავითაროს განათლების ხარისხს როგორც ჰუმანიტარული, ასევე ტექნიკური მიმართულებით: შექმნას ლაბორატორიები კვლევებისა და „კეთებით“ სწავლების განვითარების მისაღწევად. მიზნის მისაღწევად, სკოლა მაქსიმალურად გამოიყენებს თანამედროვე საინფორმაციო-ტექნიკურ საშუალებებს სწავლების პროცესში, სასკოლო ცხოვრებაში მხარდაჭერილი იქნება არაფორმალური განათლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოების მიზანია სკოლა იქცეს კონკურენტულ საგანმანათლებლო ორგანიზაციად არა მარტო მუნიციპალიტეტის, არამედ, რეგიონის მასშტაბით. მიზნის მისაღწევად, სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნაზე. სკოლაში შემუშავებული და დანერგილია ქცევის წესები, ტარდება პრევენციული ღონისძიებები პოზიტიური ფსიქო-ემოციური გარემოს შესაქმნელად. სკოლა, როგორც თავის მუნიციპალიტეტში არსებული სოციო-კულტურული სივრცე, რომელიც მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, ხელს უწყობს ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორიცაა:

1. გუნდურობა და თანამშრომლობა;
2. სამართლიანობა და მიუკერძოებლობა;

3. აღიარება და პატივისცემა;
4. პროფესიული განვითარება და დაფასება;
5. თანამონაწილეობა და საჯაროობა;
6. პატრიოტიზმი და ეროვნული ფასეულობების დაცვა;
7. უსაფრთხოება და უკონფლიქტო გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გარემოებათა შესწავლის შედეგები ადასტურებს, რომ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლა ისწრაფვის რომ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრებს მიანიჭოს სათანადო ავტონომიურობა, გამოუცხადოს მათ ნდობა, რაც დაფუძნებულია მათსავე პროფესიონალიზმზე, კეთილსინდისიერებაზე, პასუხიმგებლიანობასა და ერთგულებაზე. სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული გეგმის შემუშავებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაშია საგნობრივი კათედრის, მშობელთა, მოსწავლეთა თვითმმართველობის წამომადგენლები; ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდის წევრები. სამუშაო ჯგუფმა გაანალიზა: სკოლის კურსდამთავრებულთა წარმატების მაჩვენებლები (2021-2024წწ.); მოსწავლეთა კონტინგენტის სტატისტიკა/დინამიკა - მობილობის მაჩვენებლები - (2021-2024წწ); სკოლის ფინანსური მდგომარეობა/მდგრადობა; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების/კვალიფიკაციის ამაღლების დინამიკა (2021-2024 წწ); სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ხარისხი; სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური ბაზა. სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდა კვლევა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა, რაც ემსახურებოდა სკოლის უსაფრთხო გარემოს შეფასებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. კითხვარებით მიღებული ინფორმაცია დამუშავდა, გაანალიზდა და გამოყენებული იქნა მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოსაყალიბებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამ მიზნებისთვის სკოლამ გამოიყენა/იყენებს მისთვის შესაძლო ყველა საშუალებას, როგორიცაა სკოლის შიდა სივრცე, მშობელთა კრებები, ფორმალური და არაფორმალური შეხვედრები. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე, დოკუმენტი შემუშავებული და

მიღებული იყო სამეურვეო საბჭოს სხდომაზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. საბოლოოდ, სკოლის ფილოსოფია აისახა სტრატეგიულ გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში, ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადოებისათვის და სკოლაში ვიზიტორებისთვის/შემსვლელი პირებითვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2024 წლის 06 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №8 (06.09.2024 წ)
- 2024 წლის 06 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი №8 (06.09.2024 წ)
- მასწავლებელთა, მშობელთა სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ამსახველი ოქმები;
- სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (2024 წლის 04 სექტემბრის N2-125 ბრძანება);
- სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები) ბუკლეტი;
- მშობელთა კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

აღნიშნულ დოკუმენტში, აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის ფილოსოფიის, გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. ეს არის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგადი მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის სამოქმედო პრინციპები; მეთოდოლოგია განსაზღვრავს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესზე პასუხისმგებელ პირებს და პროცესში ჩართულ მხარეებს. ასევე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის, გაზიარების მექანიზმებს. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასების, წლიურ ანგარიშებთან დაკავშირებული საკითხები. სკოლა გეგმავს ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელსაც ექნება მუდმივი და ციკლური სახე. პროცესი დაწყებულია საქმიანობის დაგეგმვით, გრძელდება განხორციელებითა და მონიტორინგით და დასრულდება უკუკავშირითა და შეფასებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დამტკიცებული გეგმა მოიცავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს გაწერილს შვიდწლიან პერიოდზე. სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სკოლა გეგმავს ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელსაც ექნება მუდმივი და ციკლური სახე.

პროცესი დაწყებულია საქმიანობის დაგეგმვით, გრძელდება განხორციელებითა და მონიტორინგით და დასრულდება უკუკავშირითა და შეფასებით. შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა-2023-2030 წლები, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას გამოყენებულია SWOT ანალიზის მეთოდი. სტრატეგიული განვითრების გეგმა მოიცავს: სკოლის ზოგად პროფილს, სკოლის მისია და ხედვას, სკოლის ისტორიას და სკოლის სტრუქტურას, პროცესის აღწერას. სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად და განსაზღვრულია მათი შესრულების პერიოდები. შესაბამისად, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება დაწესებულების მიერ დეკლარირებულ სკოლის ფილოსოფიას, ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმიდან სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმა შედგენილია სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშო ჯგუფის მიერ, განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი N8, 06.09.2024წ.) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი N6, 06.09.2024წ.). მასში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების შესრულების ვადები. სკოლის სამოქმედო გეგმაში, გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ყველა (სულ შვიდი) სტრატეგიული მიმართულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს დეტალურად გაწერილ და ფორმალიზებულ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს მისიას და გრძელვადიან ხედვას, სტრატეგიულ მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს, აგრეთვე, მიზნებისა და ამოცანების მიღწევის

დამადასტურებელ ინდიკატორებს. სკოლის სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შექმნილია სკოლის მოკლევადიანი (ერთ წლიანი) სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი განხორციელების ვადებს, შესრულების მაჩვენებლებს/ინდიკატორებს, ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, ჩართულ მხარეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის შვიდწლიანის სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 04 სექტემბრის N2-125 ბრძანება „სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“;
- სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (2023 წლის 04.09 ბრძანება N2-126);
- სკოლის სამოქმედო გეგმა 2024-2025 სასწავლო წელი;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №6 (06.09.2024 წ);
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი №8 (06.09.2024 წ).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ერთ-ერთი საფეხურია შესრულების მონიტორინგის მექანიზმი, რომელსაც ამ ეტაპზე ახორციელებს სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის ყოველდღიური საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის განსაზღვრის პროცესია. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა,

მონიტორინგისა და შეფასების ინსტურმენტები. პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ ზუგდიდიდს მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში მოკლევადიან და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმებში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექცია. მასში ჩართულები არიან: პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები, კლასის დამრიგებლები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები. განსაზღვრული აქვს შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მიზნები, ამოცანები, მეთოდები, შესრულების ვადები და, საჭიროების შემთხვევაში, მოამზადებს ცვლილებათა პაკეტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები საჯაროა - სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე (https://skolebi.emis.ge/schools). ასევე, სკოლის სოციალურ ქსელში. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობას - ეს პროცესი ჯერ არ დამდგარა. **(სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში). ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის. სკოლამ მოახდინა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ აქტივობები, რომლებიც 2024-2025 სასწავლო წელს არ შესრულდა ან ნაწილობრივ შესრულდა, ასახული იქნება 2025-2026 სამოქმედო გეგმაში, რომლის პროექტზეც სკოლას უკვე ჰქონდა დაწყებული მუშაობა. **(სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში). ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 სექტემბრის ბრძანება N2-125;
- სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 სექტემბრის N2-126 ბრძანება;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 სასწავლო წელი;
- 2024 წლის 06 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №6 (06.09.2024 წ);
- 2024 წლის 06 სექტემბრის სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი №8 (06.09.2024 წ).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ზუგდიდიდს მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურა მოიცავს კოლეგიალურ სტრუქტურულ ერთეულებს: სამეურვეო საბჭო, დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგიურ საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინურ კომიტეტი, საგნობრივი ჯგუფის კათედრები და მოსწავლეთა თვითმმართველობა. სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა

რაოდენობა დაზუსტებულია სკოლის საშტატო განრიგით. სტრუქტურული ერთეულები ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით'' გაწერილი უფლებამოსილების ფარგლებში. პედაგოგიური საბჭო შედგება სკოლის ყველა მასწავლებლის, მათ შორის, ადმინისტრაციის წევრებისგან, რომლებთანაც ასევე გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები როგორც საგნის მასწავლებელთან. სამეურვეო საბჭო შედგება არჩეული მასწავლებლებისა და მშობლებისაგან (თანაბარი რაოდენობით), ასევე, სათათბირო ხმის უფლებით საბჭოს შემადგენლობაში შედის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობა აისახება ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღწევის მიზნით განხორციელებული აქტივობების დროს. სკოლაში არის 8 (რვა) საგნობრივი კათედრა, რომლებშიც გაერთიანებული არიან მასწავლებლები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. კათედრის წევრები გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების რეჟიმში უზიარებენ გამოცდილებას. კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, შესაბამის ვადებში და შესაბამისი დღის წესრიგით. სკოლაში სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. დისციპლინური კომიტეტში თანაბარი რაოდენობით შედის მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. დისციპლინურ კომიტეტში საკუთარი წარმომადგენლებს ასახელებენ სამეურვეო საბჭო (მშობლებს), პედაგოგიური საბჭო (მასწავლებლებს) და მოსწავლეთა თვითმმართველობა (მოსწავლეებს). მოსწავლეთა თვითმმართველობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არჩეულია სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, შესაბამისი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, ერთი წლის ვადით. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, დირექტორის ბრძანებით შექმნილია საკონკურსო კომისიები და საინვენტარიზაციო კომისიები. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები ასახულია სხვადასხვა დოკუმენტებში: სკოლის შინაგანაწესში, დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში კი მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან.

დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, შინაგანაწესის მიხედვით. ყველა კოლეგიური/სტრუქტურული რგოლი იკრიბება სამუშაო შეხვედრებსა და სხდომებზე და არსებით გადაწყვეტილებებს აფიქსირებენ ოქმის სახით. აღნიშნულით უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა გუნდურად მიღების პრინციპი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, მრჩეველთა საბჭოს და საგნობრივ კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმები, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. საგნობრივი კათედრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ქმნიან სასწავლო პროგრამებსა და სასწავლო რესურსებს. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელიც მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლის პროგრესზე, უზრუნველყოფენ მშობელთა დროულ ჩართულობას და საჭიროების შემთხვევაში სოციალური მუშაკის ჩართულობას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები ჩართულები არიან სასკოლო ცხოვრებაში, ისინი სხდომებზე წარადგენენ რეკომენდაციებს, იღებენ გადაწყვეტილებებს უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავენ და აჯამებენ მიმდინარე პროცესებს. სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შედგენისას განსაზღვრული ჰყავს არსებული ადამიანური რესურსი, რომელიც ჩართული იქნება განხორციელების პროცესში. სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაციაში შედის: საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი - სკოლის ექიმი, დარაჯი და დამლაგებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის N8 ოქმი (06.09.2024წ.; დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის, დისციპლინური კომიტეტის წევრების კანდიდატის არჩევის საკითხი);
- სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1, (21.10.2024);
- 2024 წლის 04 ოქტომბრის N2-140 ბრძანება „სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის
- მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 1. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; 04.10.2024 წ);
- სკოლის თვითმმართველობის ანგარიში;
- სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმართველობის სხდომის ოქმი N1 (18.10.2024);

- სკოლის განვითარების გეგმა 2024-2025 სასწავლო წელი;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის დამტკიცების შესახებ (2025 წლის 14 იანვრის N2-08 ბრძანება)
- სკოლის კათედრების დებულების, სადამრიგებლო მუშაობის დებულების, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულების, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ (2025 წლის 24 მარტის N2-23 ბრძანება; სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობები);
- სკოლის საშტატო განრიგი (2025 წლის 19 მარტის N2-21 ბრძანება);
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული (2023 წლის 29 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6) აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და გამოყენების სფეროს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების ღირებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, სამუშაო აღწერილობებს, კადრების მოზიდვა/შერჩევას, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები, ასევე, წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური

პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალის მართვის ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების უწყვეტობას. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, კათედრის წევრების ურთიერთდასწრებით, მასწავლებლის თვითშეფასებებით, სადაც ისინი თავად განსაზღვრავენ მათი პრაქტიკული საქმიანობის ძლიერ მხარეს, საჭიროებებს. კლასის დამრიგებლებისა და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაცია ახდენს მოსწავლეთა პროგრესის ანალიზს, რასაც სკოლა, ასევე, იყენებს მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტად. ადამიანური რესურსების მართვაში - სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვა, შერჩევა, კადრების სოციალიზაცია, ძალისხმევისა და შესაძლებლობების აღიარება, საჭიროებების მხარდაჭერა - სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლისათვის მნიშვნელოვანი აქცენტებია. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია: ა) სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; ბ) მასწავლებელის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; გ) სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება; დ) სკოლის მასწავლებლებისთვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ აღნიშნული ჯგუფი მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე; საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს; მასწავლებლებთან ერთად განიხილავენ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს.

დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, პრევენციული პოლიტიკის მართვის უზრუნველსაყოფად სკოლა ითვალისწინებს მასწავლებელთა ბიულეტენს, დეკრეტულ შვებულებას, მასწავლებელთა წასახალისებლად სკოლის ბიუჯეტიდან გამოიყოფა

ფინანსები. ინტერვენციის პოლიტიკის მართვის უზრუნველსაყოფად საჭიროების შემთხვევაში (ავადმყოფობის, უხელფასო შვებულებით სარგებლობის) სასწავლო პროცესში ერთმანეთს ენაცვლებიან ერთი საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გამოწვევებს წარმატებით უმკლავდება, ეტაპობრივად ხორციელდება SWOT ანალიზი სასკოლო საჭიროებების გამოსავლენად და შესაბამისად იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული საქმიანობა. გადაწყვეტილებები მიიღება გუნდურად, შეთანხმებითა და სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით. სასურველია, სკოლის მიერ შემუშავებული იყოს დოკუმენტი (ან არსებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში შევიდეს) პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში დასაქმება ხდება კონკურსით. მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი. საკონკურსო განაცხადი თავსდება საჯაროს სკოლის სივრცეში და ასევე - ელექტრონულ პლატფორმაზე https://teacherjobs.ge/. კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, მოუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც, ასევე, გათვალისწინებულია მოწვეული პირები: სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსის ეტაპების ჩატარებასა და კონკურსანტების შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადის დაცვით იღებს გადაწყვეტილებას საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატის შერჩევის თაობაზე.

ვიზიტის დროს, სკოლის დირექციის მიერ წარმოდგენილ იქნა სხდომის ოქმები და კონკურსის წესით შერჩეული პირის დანიშვნის აქტი-დირექტორის ბრძანება. ახალ თანამშრომელზე სკოლაში იხსნება პირადი საქმე, სადაც განთავსებულია კადრების აღრიცხვის ფურცელი, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სამსახურში დანიშვნის ბრძანება და კანონმდებლობის შესაბამისი ყველა სახის ცნობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული. მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს (სკოლაში დასაქმებულია 41 მასწავლებელი, მათ შორის: 2 მენტორის სტატუსით, 5 -წამყვანის სტატუსით და 31 უფროსი მასწავლებლის სტატუსით). მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე, შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან პერსონალის კვალიფიკაცია. მასწავლებლების და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება კანონმდებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრინციპები, კოორდინირებული მუშაობა სხვადასხვა კათედრასთან, ფოკუს ჯგუფებთან, სადაც ყველას აზრი მისაღები და დასაფასებელია. თანამშრომლობითი სასკოლო კულტურა შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას აძლევს თითოეულს. მასწავლებლებს შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივად იცავენ სკოლის ინტერესებსა და საჭიროებებს, დახმარებას უწევენ ერთმანეთს პროფესიულ ზრდაში (ეს მხარდაჭერა განსაკუთრებით ძლიერდება მაძიებელ, შემცვლელ და კონკურსის წესით სკოლაში მიღებულ ახალ მასწავლებლებთან დაკავშირებით). ისინი თავიანთი საქმიანობის ფარგლებში არიან თავისუფალი, დირექცია მათ საქმიანობაში, სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, მხოლოდ მათი სურვილის შესაბამისად და შემდგომი მხარდაჭერის მიზნით ერთვება. ჩამოყალიბებულია ანაგარიშვალდებულებათა სისტემა. სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანების შესრულებისა და საერთო მიზნების მიღწევისთვის თვალშისაცემია ნდობა თანაგუნდელებს შორის და პოზიტიური სამუშაო ატმოსფერო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით გათვალისწინებულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ხდება თანამშრომლებზე მადლობის გამოცხადება. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით სწორი და ეფექტური პოლიტიკის უზრუნველსაყოფად სკოლა გეგმავს შეიმუშავოს

მასწავლებლისა და სხვა პერსონალის შეფასების უფრო მკაფიო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის მოტივაციის ამაღლებას. სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლების მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები ვრცელდება სკოლის პორტალზე, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6: 29.09.2023 წ.);
- სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ (11.04.2024 წ. ბრძანება 2-24);
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 მარტის ბრძანება №2-23 სკოლის კათედრების დებულების, სადამრიგებლო მუშაობის დებულების, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულების, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ;
- სკოლის მასწავლებლებზე გაცემული სიგელები
- სკოლის დამრიგებლის, მასწავლებლის და კათედრის მიერ I სემესტრში გაწეული მუშაობის ანგარიშები;
- გაკვეთილზე დასწრების მასალები;
- სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ (2025 წლის 14 იანვრის N2-07 ბრძანება)
- სკოლაში ზოგიერთი მექანიზმის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 22 იანვრის N2-09 ბრძანება, დანართი N3 დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები);
- სკოლაში 2024—2025 სასწავლო წელს მათემატიკის მასწავლებლის მისაღებად კონკურსის დოკუმენტაცია;
- შრომითი ხელშეკრულება - მასწავლებელი (ს. ხ);
- https://www.pedagogi.ge;
- https://www.facebook.com/share/v/1FFa6wqgsu/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც აწესრიგებს მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობას. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ. ასევე, აღნიშნული დოკუმენტი აწესრიგებს სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა გეგმავს 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელთა საქმიანობის შეფასდებას სკოლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შეთანხმებული ფორმის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულ

მასწავლებელთა შეფასების ობიექტურობასა და გამჭვირვალეობას. მომდევნო სასწავლო წლიდან, ასევე, ამოქმედდება სკოლის დონეზე შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც უკვე შეარჩიეს დარგობრივმა კათედრებმა. ეს ინსტრუმენტები მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე, საშუალებას მისცემს მათ სასწავლო პროცესი შეაფასონ სკოლის დონეზე და განსაზღვრონ მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა ხელს უწყობს ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას შიდა ფასილიტაციის გაძლიერების გზით. პირველ რიგში, სკოლა ახალისებს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას გუნდში. დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებთან ერთად იკრიბება პერიოდულად, ისმენს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად გეგმავს პროფესიულ განვითარებას, რომლის განხორციელების პროცესშიც სკოლა მხარდამჭერის როლს ასრულებს. სკოლის ბაზაზე სისტემატურად იმართება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების, საგნობრივი კათედრების წევრთა შეხვედრები, სადაც ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას, განიხილავენ აქტუალურ პრობლემებს, და ერთობლივი ძალებით გეგმავენ ინტერვენციებს. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ სკოლამ, რომელიც 15 წელია აქტიურადაა ჩართული ქართულ-გერმანულ საერთაშორისო პროექტში, 2023-2024 სასწავლო წელს გერმანული ენის მასწავლებლად დაასაქმა ახალგაზრდა, სკოლაში მუშაობის გამოცდილების არმქონე მაძიებლი, რომელმაც სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღო საჭირო პროფესიული მხარდაჭერა, ტუტორი მასწავლებლისგან, სკოლის დირექტორისგან, საგნობრივი კათედრების წევრებისგან ის სისტემატურად იღებდა კვალიფიციურ რეკომენდაციებს. ამ აქტივობებს მოჰყვა შედეგიც: ახალგაზრდა კადრის ადაპტაცია სასკოლო გარემოსთან განხორციელდა უმოკლეს ვადაში, რასაც მოჰყვა მისი ინტეგრაცია სასკოლო საზოგადოებასთან, მან მაძიებლობის პროგრამა დაძლია წარმატებით და მოიპოვა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ასევე წარმატებით ჩაერთო სასკოლო და საერთაშორისო პროექტებში და სარგებლობს მშობელთა მაღალი ნდობით. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის პერსონალის კარიერული წინსვლა მიზნად ისახავს მათთვის სკოლისადმი მიკუთვნებულობის ზრდას, პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავება/გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმებს. სკოლაში სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას. ახალდანიშნული თანამშრომელი სამუშაო საქმიანობაში ჩართვის მიზნით ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, გაკვეთილების განრიგს, კათედრის წევრთა შორის მუშაობის სპეციფიკას, ესწრება საგაკვეთილო პროცესს. სოციალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით კი ხდება მისი ჩართვა სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებაში. სკოლის ადმინისტრაცია: ამზადებს შრომით ხელშეკრულებას, დეტალურად უხსნის მასწავლებელს ფუნქცია - მოვალეობებს აღნიშნულ პოზიციასთან მიმართებით; აცნობს გამოსაცდელი ვადის არსს და მნიშვნელობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში); აწვდის ინფორმაციას ანაზღაურების, სამსახურეობრივი ბენეფიტების და სამომავლო პროფესიული პერსპექტივების შესახებ; აცნობს სკოლის მისიას, ხედვას და სკოლის საქმიანობის უმთავრეს ღირებულებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში წახალისებულია მასწავლებელთა ინიციატივები, სკოლის დირექცია მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ ორგანიზებულ პროექტებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სამუშაო შეხვედრებს. 2024-2025 სასწავლო წელს ჩატარდა მასწავლებელთა შემოქმედებითი კონფერენცია სწავლების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.

სკოლაში დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს შესაბამისი საგნობრივი კათედრის, პედაგოგიური საბჭოს ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურეობრივი ბარათი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დაწყებითი კლასების კათედრის, სპორტის კათედრის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის, მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრის და უცხოური ენების კათედრების სხდომის ოქმები (2024-2025 სასწავლო წელი);
- სკოლის მასწავლებელთა სასკოლო კონფერენციის პროგრამა (ბუკლეტი);

- სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა 2024-2025;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სერთიფიკატები;
- გაკვეთილის გეგმა, დაკვირვება, რეფლექსია, განმავითარებელი უკუკავშირი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის უზრუნველსაყოფად, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საკარო სკოლამ შეიმუშავა (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით - N2-08, 14/01/2025წ.) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტები - სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შიდა ხარისხის

უზრუნველყოფის კონცეფცია, რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის დაგეგმვისაკენ და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ამ პროცესის განხორციელებას, მათ შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების განსაზღვრას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერა და გაითვალისწინა პროცესების განხორციელება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი - დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე - პრინციპი. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა - პროცესების ერთობლიობაა და მიმართულია ხარისხის უზრუნველსაყოფად. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესმა ნათლად დაანახა სასკოლო სასწავლო გეგმის, კურიკულუმების გადახედვის აუცილებლობა. მონიტორინგისა და შეფასების პროცესების მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა. სკოლის დირექცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული გააერთიანებს იმ მექანიზმებს, რომელიც შემუშავებული იქნება ხარისხის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შრომით ხელშეკრულებებში; სასკოლო კურიკულუმში, სკოლის შინაგანაწესში. სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, აგრეთვე, იმ საკანონმდებლო რეგულაციებით, სადაც აღწერილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციები. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით პროცესებთან დაკავშირებით, გასაუბრებისას სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ მათი საქმიანობა მიემართება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებისკენ, უსაფრთხო და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნისკენ. ძირითად და დამხმარე პროცესებთან დაკავშირებით კი აღნიშნეს, რომ ეს საქმიანობა დამყარებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევისკენ. სასწავლო პროცესში არაფორმალური განათლების უზრუნველყოფის მიზნით სასკოლო ღონისძიებები იგეგმება და ხორციელდება ეროვნული ღირებულებების მატარებელი შემოქმედებითი უნარების გაძლიერებისკენ. ამ მიმართულებით შედგენილია სადამრიგებლო პროგრამები, საგნობრივი კურიკულუმები და სასკოლო პროექტები (სკოლის დირექტორის N2-23, 24/03/2025წ. დამტკიცებულია ,,სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის კათედრების დებულება, სადამრიგებლო მუშაობის დებულება, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი დებულება, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მტუკ-ის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, ასევე შრომით ხელშეკრულებებში, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. განცხადებებზე რეაგირება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურები. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს: ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში - ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლას მიღებული აქვს შინაგანაწესი; სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, სკოლის ექიმი, ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებულია ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლის შინაგანაწესის შემუშავებასა და დამტკიცებაში მონაწილეობდა მთელი სასკოლო საზოგადოება. დეტალურად მიმდინარეობდა პროექტის განხილვა როგორც პედაგოგიურ საბჭოზე, ასევე სამეურვეო საბჭოზე. სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ცალკე დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნება გაწერილი მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. აღნიშნულით უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვა ინდიკატორი დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- სკოლის სტრუქტურა;

- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის N8 ოქმი (06.09.2024 წ) -(დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის, დისციპლინური კომიტეტის წევრების კანდიდატის არჩევის საკითხი);
- სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1, (21.10.2024 წ);
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N1 (2024 წლის 25 სექტემბერი);
- სკოლის კათედრების დებულების, სადამრიგებლო მუშაობის დებულების, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულების, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ (2025 წლის 24 მარტის N2-23 ბრძანება);
- სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;
- სკოლის მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;
- მშობელთა კრების ოქმები (2024 წლის სექტემბერი);
- სკოლის 2025 წლის 22 იანვრის N2-09 სკოლაში სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში ზოგიერთი მექანიზმის დამტკიცების შესახებ (დანართი 1. სკოლაში გასაჩივრების დეტალური პროცედურები; დანართი 2. მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები; დანართი 3. დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დანართი 4. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი);
- კლასის საათის რეფლექსიები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის ვებ.გვერდზე, მითითებულია სკოლის მისამართი, ელ. ფოსტა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, სწავლების ენა და საგანმანათლებლო სტატუსი. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის გამოიყენება სოციალური ქსელი, რომლის საშუალებით გაზიარებულია სკოლაში მიმდინარე სიახლეები, ქვეყნდება სრულყოფილი ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მშობლებს შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და უკუკავშირი მიმდინარე მოვლენასთან, სიახლეებთან დაკავშირებით. ასევე, სოციალურ ქსელში (მესენჯერი) კლასის

დამრიგებლებმა შექმნეს მშობლებისა და მოსწავლეების დახურული ჯგუფები, რომლებსაც იყენებენ ინფორმაციის დროული მიწოდებისთვის და უკუკავშირის მიღებისთვის. სკოლაში რეგულარულად ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა იცნობდეს და სკოლის საჭიროებისამებრ ითვალისწინებდეს მათ ხედვებს და ცვლილებების აუცილელობის შემთხვევაში ყველას ინტერესი იყოს გათვალისწინებული. ასევე, აქტიურად იყენებენ Microsoft Teams პლატფორმაზე შექმნილ ჯგუფებსაც.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს, კოლეგიალურ ორგანოებს აქვთ Microsoft Teams -ის პლატფორმაზე სოციალურ ქსელებში გამოყოფილი სივრცე - ჯგუფები, სადაც ეგზავნებათ დოკუმენტაცია, საჯარო ინფორმაცია, იმართება შეხვედრები. სკოლის მიერ განსაზღვრულია პასუხსიმგებელი პირი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე (საქმისმწარმოებელი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში კანონმდებლობითაა განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოების სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს არსებობა, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შექმნილი სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის N8 ოქმი (06.09.2024 წ) (დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის, დისციპლინური კომიტეტის წევრების კანდიდატის არჩევის საკითხი);
- სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1 (21.10.2024 წ);
- 2024 წლის 04 ოქტომბრის N2-140 ბრძანება „სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი 1. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; 04.10.2024 წ);

- სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი N1 (18.10.2024 - საბაზო და საშუალო საფეხურის ოქმები);
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2-157 ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ (სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2024 წლის 14 სექტემბრის N2-143 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ);
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმი N3(24.12.2024);
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმი N4 (25.09.2024);
- სადამრიგებლო პროგრამა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის**

ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მექანიზმები განისაზღვრება და რეგულირდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, საგანგებო სიტუაციების მართვისა და რეაგირების გეგმა.

სკოლის ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორია სრულად შემოღობილია. სკოლას აქვს 2 (ორი) გასასვლელი - ძირითადი და სათადარიგო. სკოლა წარმოადგინა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. განსაზღვრულია საგანგებო რეაგირების შტაბი, სადაც განაწილებულია ფუნქციები. სკოლაში შემუშავებულია და ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, დამონტაჟებულია 2 (ორი) ცეცხლმაქრი თითოეულ სართულზე. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2019 წელს განხორციელებული სახანძრო ტექნიკური შემოწმების დროს გამოვლენილი სავალდებულო ღონისძიებიდან სკოლამ განახორციელა ცეცხლმაქრების დამონტაჟება, საევაკუაციო გეგმის განახლება, ელექტრო სადენების და ელექტრო-მოწყობილობების გამოცვლა. სხვა ღონისძიებების (სახანძრო სიგნალიზაციის დამონტაჟება, საევაკუაციო გზის მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნების დამონტაჟება, ავარიული განათების და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის სისტემების დამონტაჟება) განხორციელებაზე კორესპონდენცია 2025 წლის 13 მარტს გაეგზავნა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და 2025 წლის 17 მარტის წერილობითი პასუხით სააგენტომ დაადასტურა, რომ ახალ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნება აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება.

სკოლამ, ასევე წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა (N001320025) შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის - მდგრადობის შესახებ. დასკვნის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ,,სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მოვლა-პატრონობის პროგრამა", რომლის ფარგლებშიც ხორციელდება

სკოლის შენობის, ინვენტარის შეფასება, განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული ტექნიკური პერსონალის ამ პროგრამის ფარგლებში ფუნქციები, ჩასატარებელი სამუშაოები და პრევენციული ღონისძიებები, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებები.
სკოლას ემსახურება 2 მანდატური (ვიზიტის პერიოდში 1 (ერთი) მანდატური იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში უცხო პირთა შესვლაზე პასუხისმგებელია სკოლის კარისკაცი, რომელიც სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავს სკოლაში ყველა შემსვლელ-გამსვლელ პირებს. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.
დამრიგებლები ყოველდღიურად ადგენენ მოსწავლეთა გაცდენის მიზეზს და უნებართვო გაცდენების შემთხვევაში აცნობებენ სამსახურეობრივი ბარათის საშუალებით გაცდენების შესახებ დირექციას. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე მანდატურის სამსახურთან ერთად ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები (შემუშავებულია კლასის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი), სკოლის დარაჯი, დირექცია და დამრიგებლები. სკოლას ჰყავს ექიმი. **სკოლის მიერ წარმოდგენილ თანამშრომელთა ხელშეკრულებებში არ იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება. რჩევა: მიზანშეწონილია, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება დაწესებულებაში.**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არც შიდა და არც გარე პერიმეტრზე არ არის განთავსებული ვიდეო - კამერები. თუმცა, რადგან სკოლას ემსახურება სსიპ მანდატურის სამსახური, სკოლამ აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე მიმართა შესაბამის რესურსცენტრს სსიპ მანდატურის სამსახურთან შუამდგომლობის თხოვნით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი ექიმი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. იგი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლის დირექტორის მიერ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა ხელმძღვანელობს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N06/ნ ბრძანებით, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. ბრძანების შესაბამისად ტარდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტურ რეაგირებას, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას.

სასკოლო ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული 2 (ორი) მანდატური, 2 (ორი) დარაჯი, მორიგე მასწავლებლები. გარდა ამისა, სკოლაში შემუშავებულია სამედიცინო დახმარების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. მისი მიზანია, განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში განახორციელა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება და სკოლას გაუგზავნა სავალდებულო ღონისძიებების ნუსხა, რაც ითვალისწინებდა ხარვეზების აღმოფხვრას. ვინაიდან სკოლას საკუთარი სახსრებით მხოლოდ ზოგიერთი პუნქტის შესრულება შეეძლო (ცეცხლმაქრების დამონტაჟება, საევაკუაციო გეგმების განახლება, ელექტროსადენების და ელექტრომოწყობილობების ნაწილობრივ გამოცვლა) სკოლამ წერილობით მიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების თაობაზე. ასევე, სკოლამ წერილობით მიმართა ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ და ითხოვა შუამდგომლობა სსიპ საგანმანათლებლო დასამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან. სკოლამ წარმოადგინა სააგენტოდან მიღებული წერილი N289499, 17/03/2025წ., რომლის თანახმად სააგენტო გამოთქვამს მზადყოფნას, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული პრიორიტეტების საფუძველზე, შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფის შემთხვევაში, სააგენტოს ახალი სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში გაითვალისწინოს სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლის სახანძრო უსაფრთხოების

სისტემასთან დაკავშირებული სამუშაოების საკითხის განხილვა. მიმდინარე ეტაპისათვის, სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (საევაკუაციო გეგმა, შესაბამისი ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილობები). ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112); ასევე, სხვა შესაბამისი უწყებების ცხელი ხაზის ნომრები. სკოლაში წესრიგის დაცვისა და სხვათა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, ხორციელდება თამბაქოს მონიტორინგი შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ (მანდატური). სკოლაში კონტროლდება მშობლისა და უცხო პირის ვიზიტი, რომელსაც უზრუნველყოფს სკოლის კარისკაცი (დარაჯი).

სკოლა პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის. სასწავლო წლის განმავლობაში იგეგმება საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის აქტივობების განხორციელება ისეთ თემებზე, როგორიცაა: პრევენცია ბულინგის და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით (აქტივობები იტვირთება სკოლის სოციალურ ქსელში). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის თუ, სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელსაც ევალება, გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ძალადობის ფაქტის შესწავლა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში კანონით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება. მოსწავლეები, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ღიად საუბრობენ პრობლემებსა და გამოწვევებზე, ასევე ერთად იზიარებენ მიღწევებსაც, რაც მხარდაჭერილია მასწავლებლების მიერ და არ ქმნის დისკრიმინაციისა და გარიყვის საფუძველს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითგამოხატვას. სკოლისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინკლუზიური გარემოს ფორმირება. სკოლას ჰყავს 4 (ოთხი) სსსმ მოსწავლე, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №308/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მოვლა-პატრონობის ერთწლიანი პროგრამით,

განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღე. სკოლაში სრულად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლაში არის სველი წერტილები - ცალკე ვაჟებისათვის, ცალკე გოგონებისთვის, ცალკე მასწავლებლებისთვის, ასევე, სრულად ადაპტირებული სველი წერტილიც. ყველა მათგანი მოწესრიგებული და გამართულია, რეგულარულად ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები, დერეფნები, საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება ხორციელდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების მდგომარეობაში. სველი წერტილების დასამუშავებლად გამოიყენება სადეზინფექციო საშუალებები; განცალკევებით ინახება სველი წერტილის დასუფთავებისათვის გამოყენებული, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. ასევე, სკოლის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სკოლის ცალკე სივრცეში (აქვს ფანჯრები) პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.

სველი წერტილები უზრუნველყოფილია თხევად საპონით და თანამედროვე ხელსაშრობით მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, სკოლას ემსახურება 6 (ექვსი) დამლაგებელი. სკოლის ყველა ოთახს აქვს თავსახურიანი სანაგვე ურნა, სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონითა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით. საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის 21 მარტის N02/118 ბრძანებით განისაზღვრა სკოლის პერსონალურ მონაცემთა ოფიცერი, ხოლო სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 მარტის N2-25 ბრძანებით განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხი. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლაში მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით, მონაცემები ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნისმისაღწევად; ასევე, მონაცემი მუშავდება კანონიერი და კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნისთვის - სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონის შესაბამისად. პერსონალური მონაცემები მუშავდება როგორც ავტომატური, ისე არაავტომატური საშუალებების გამოყენებით. „პერსონალურ

მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ დეტალურად განსაზღვრავს რა ტიპის მონაცემები მუშავდება, რა სახით და რა მიზნით. სკოლის დირექციის მიერ მოხდა აღნიშნული წესის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის გაცნობა, რათა ერთობლივად და თანამშრომლობის საფუძველზე მიღწეულ იქნას დოკუმენტით განსაზღვრული მიზნები. სკოლაში არსებულ ინფორმაციას განეკუთვნება:

ა) ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ;

ბ) ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ;

გ) ინფორმაცია მოსწავლეების მშობლების შესახებ.

ასევე, სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისა და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს მონაცემთა სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით, წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. ელექტრონული ჟურნალის წარმოების დროს დაუშვებელია მასწავლებლების მიერ შეფასებების გადატანა სხვადასხვა ფაილებში/წიგნაკებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების უკანონოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია ჟურნალში ნიშნების გადატანა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ვალდებულია ჟურნალში გადატანისთანავე დაუყოვნებლივ გაანადგუროს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების შემცველი ჩანაწერები წიგნაკში. გარდა ამისა, მასწავლებელი ვალდებულია შეფასებები/დასწრებები ელექტრონულ ჟურნალში შეავსოს დაუყოვნებლივ სხვა ალტერნატიული ჩანაწერების გაკეთების გარეშე. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამისობის შემოწმებას მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

როგორც აღინიშნა, სკოლის მიერ პერსონალური ინფორმაცია მუშავდება კანონით დადგენილი წესითა და მოცულობით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი.

პირადი საქმეები ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ გვერდზე ხშირად იდება მოსწავლეების ფოტოები/ვიდეოები, თუმცა ამის შესახებ მშობლებისგან სკოლას თანხმობა მიღებული აქვს. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. საქმეებზე). სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენს რეაგირებას საჭირო ცვლილებების განხორციელებისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას. მაგალითად, დარაჯების მუშაობა (დაკვირვების რეჟიმში), მათი დახმარება, მორიგეობა სართულებზე, დერეფნებში, ეზოში და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თამბაქოს მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (2025 წლის 11 მარტი N2-17 ბრძანება)

- სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველი პირების განსაზღვრის შესახებ (2025 წლის 11 მარტის ბრძანება N2-16)
- სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ (2024 წლის 06 სექტემბრის N2-107 ბრძანება)
- სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (2025 წლის 20 თებერვალი N2-13 ბრძანება)
- ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის დასკვნა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ (2025 წლის 05 მარტი)
- შენობის საევაკუაციო გეგმა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (2025 წლის 21 მარტის N02-118 ბრძანება
- რესურსცენტრის; 2025 წლის 26 მარტის N2-25)
- სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ (2025 წლის 13 იანვრის N2-02 ბრძანება)
- სკოლაში ზოგიერთი მექანიზმის დამტკიცების შესახებ (2025 წლის 22 იანვრის N2-09 ბრძანება; დანართი N4 სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი)
- სამედიცინო კაბინეტი (პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ვიზუალური დათვალიერება და
- ფოტომასალა; მიღება-ჩაბარების აქტები)
- სკოლის დერეფნებში მასწავლებლების მორიგეობის განრიგი;
- სპეციალური მასწავლებლის ხელშეკრულება;
- სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ (2025 წლის 11 აპრილის N2-24 ბრძანება)
- სკოლის თანამშრომელთა „თანხმობის განაცხადი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით“;
- სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციისა და სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ (2025 წლის 14იანვრის, N 2-06 ბრძანება)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საგანმანათლებლო საქმიანობისთვის სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა აშენებულია 1977 წელს, წარმოადგენს სამსართულიან შენობა-ნაგებობას (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №43.17.46.021) დაზუსტებული ფართობით 10826.00 კვ.მ. სკოლის ეზოში განთასებულია კაპიტალური საქვაბე შენობა - 25 კვ.მ ფართი. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის დასკვნის (N001320025; 2025 წლის 06 თებერვალი) საფუძველზე შენობის ტექნიკური მდგრადობა დადგენია - დამაკმაყოფილებელი. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. შენობა დაფარულია ინტერნეტით. ყველა საკლასო ოთახის ფართობი იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, შეუფერხებლად გადაადგილება ჯგუფური მუშაობისთვის. სკოლას აქვს კაპიტალურად გარემონტებული სპორტული დარბაზი (25x11x6მ^2), ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. სკოლას აქვს მოწესრიგებული ეზო და სარეკრეაციო ზონები. სკოლას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ფანჯარა. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა (ბუნებრივ აირზე მომუშავე ბოილერით). საქვაბე განთავსებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ შენობაში. ამჟამად, საქვაბე არის მუშა მდგომარეობაში, სკოლა

აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. დონეების მიხედვით: I დონე 90 მერხი და სკამი; II დონე 145 მერხი და სკამი; III დონე 180 მერხი და სკამი; IV დონე 185 მერხი და სკამი; დაფა 35. სკოლას აქვს: რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საგნებისათვის ცალ-ცალკე, აღჭურვილი შესაბამისი რესურსით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 5 სამაგიდო კომპიუტერი, პროექტორი, შემუშავებულია ციფრული განვითარების გეგმა, შემუშავებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის გრაფიკი, სარგებლობის წესი. ამ ეტაპისთვის სკოლას აქვს მუშა მდგომარეობაში 8 პროექტორი; 7 პრინტერი. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი. შესაბამისად, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით 600 მოსწავლეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში მოქმედი რეგულაციებით, წესებით, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლის ვებგვერდით - დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისთვის, რიგ შემთხვევებში, მშობლებისთვის. სკოლაში არის სპორტული და სააქტო დარბაზები, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, სკოლა სრულად შემოღობილია. შენობას აქვს მთავარი და გვერდითი შესასვლელი. აქვს სკოლის ეზო, რეკრეაციული ზონები, რომელთა გამოყენება ყველასთვის ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მრავალმხრივ აქტივობას.

კომპიუტერული ლაბორატორია თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის პერსონალი გადანაწილებულია სხვადასხვა სამუშაო სივრცეში და იყენებენ სკოლის ინტერნეტსა და სკოლის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი (ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლას აქვს საკმაოდ მდიდარი და შესაბამისი თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებს. ბიბლიოთეკის განახლება მუდმივი პროცესია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის

გრიფირებული სახელმძღვანელოს თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკარს მატერიალური სახით აქვს სახელმძღვანელოების (კლასგარეშე ლიტერატურა) გაცემა - დაბრუნების ჟურნალი. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, რომელშიც ელექტრონულად აისახება წიგნადი ფონდი, ასევე სალიტერატურო მასალის გაცემა - დაბრუნების შესახებ ინფორმაცია. ბიბლიოთეკაში საჯაროდ გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, მკითხველთა უფლებები, პასუხისმგებლობა და მოვალეობები. სკოლის დირექტორის განმარტებით, ბიბლიოთეკა რეალურად ასრულებს სასწავლო პროცესის მხარდამჭერის ფუნქციას. მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოსწავლეთა მოქალაქეობრივი, ასევე კულტურული გამომხატველობის და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სხვა საკვანძო კომპეტენციების განვითარებაში, რისთვისაც კურიკულუმის მიღმა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობების ერთ-ერთი მხარდამჭერი და ინიციატორია. ბიბლიოთეკაში ხორციელდება წაკითხული ნაწარმოებების განხილვა, ლიტერატურული კონკურსები, თეატრალური ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის **ფიზიკური გარემო ნაწილობრივ ადაპტირებულია:** სკოლას მხოლოდ პირველ სართულზე აქვს პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ/შშმ პირებისათვის. 2025 წლის 04 მარტს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გაეგზავნა წერილი სკოლის შენობის მეორე და მესამე სართულებზე ლიფტის ან პანდუსის დამონტაჟების თაობაზე. სააგენტოს 2025 წლის 05 მარტის კორესპონდენციით პროექტი გათვალისწინებული იქნება 2026 წლის სამოქმედო გეგმაში.

სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესურსოთახი, სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში.

სკოლას, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კორესპონდენციის საფუძველზე შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს პრობლემა და მისი გადაჭრის საბოლოო თარიღად განსაზღვრული აქვს - 2026 წლის 04 მარტი. ინდიკატორი შეფასებულია - მეტწილად შეესაბამება. **სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა კორექტირებული შესაბამისობის გეგმა და პრობლემის აღმოფხვრის თარიღად განსაზღვრა 21.07.2026წ. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი კახათის N1 საჯარო სკოლას აქვს ვრცელი და ნათელი დერეფნები, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აძლევს საშუალებას მიანიჭოს მეტი ფუნქციური დატვირთვა. სკოლის შენობის დერეფნებისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრულია მოსწავლეთა ნაშრომები, ნამუშევრები, პოსტერები, სხვადასხვა ღონისძიების ამსახველი ფოტო-მასალა. სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს მათი ნების შესაბამისად შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი - სცენით, აუდიოსისტემით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, ღია სპორტული მოედანი, დიდი და მცირე შიდა სპორტული დარბაზები, ინოვაციური რესურსებით აღჭურვილი, სრულიად მოწყობილი STEM ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის საკადასტრო გეგმა;
- ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი სკოლის ბიუჯეტი, შესყიდვები, შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიღება-ჩაბარების აქტი;
- სხვადასხვა სასკოლო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები;
- სკოლაში შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი სსიპ ინფრასტრუქტურული განვითარების სააგენტო;
- სკოლის კათედრების დებულების, სადამრიგებლო მუშაობის დებულების, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულების, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ (2025 წლის 24 მარტი, N2-23 ბრძანება)
- ციფრული განვითარების გეგმა;
- სკოლის სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

- სკოლის ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია.
- სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა;
- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შშმ პირებისათვის პანდუსის ან ლიფტის მოწყობაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მასწავლებელსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მათი შვილების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. მასწავლებლები და საგნობრივი

კათედრების წარმომადგენლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და აქტიურად უზიარებენ გამოცდილებას/პოზიტიურ პრაქტიკას ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირების შესახებ.
მშობლებთან და კოლეგებს შორის მარტივი კომუნიკაციისთვის ასევე იყენებენ Viber, whatsapp და Facebook ჯგუფებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად აახლებს სკოლის სოციალურ ქსელს, ინფორმაციისა და საინტერესო აქტივობების გაზიარების მიზნით. ასევე, იყენებს One Drive-ს საქაღალდეთა ღრუბლოვან სისტემას მნიშვნელოვანი ინფორმაციის შენახვისთვის, გაზიარებისთვის.
სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების სისტემა და წესი, რომელიც ხორციელდება ელექტრონული სისტემით - Eflow, eschool. სკოლის საქმისმწარმოებელი სისტემაში არეგისტრირებს შემოსულ და გასულ წერილებს, აქვე ხდება ბრძანებების, წერილების, მოხსენებითი ბარათების აღრიცხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა განაწილებულია შემდეგნაირად: მათი რაოდენობა 76 (სამოცდათექვსმეტი) ერთეულია. კომპიუტერების საგაკვეთილო პროცესში გამოყენება შესაძლებელია კომპიუტერულ ლაბორატორიაში და თითქმის ყველა საკლასო ოთახში. ყველა კომპიუტერი გამართულია, კომპიუტერები აქტიურად გამოიყენება, როგორც საგაკვეთილო პროცესის მსვლელობისას, ასევე კლუბური სამუშაოების შესრულებისას, ე. წ. „ჭკვიანი დაფით“ და კომპიუტერული ტექნიკით ერთდროულად 20 (ოცი) მოსწავლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიაც და გერმანული ენის კაბინეტიც. კომპიუტერული ტექნიკა აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას. სკოლაში არის 8 (რვა) პროექტორი, სკოლას აქვს პროექტორის ეკრანი, რასაც მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში ეფექტურად იყენებენ. გაკვეთილების შემდეგაც მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია ადმინისტრაცია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა. სამასწავლებლოში განთავსებულ კომპიუტერებთან მასწავლებლები მუშაობენ, ქმნიან ელ.საგანმანათლებლო რესურსებს, აწარმოებენ ელექტრონულ ჟურნალს და უზიარებენ ერთმანეთს გამოციდლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ლაბორატორიის ინტერნეტით დაფარვის მიღება-ჩაბარების აქტი;
- სკოლის კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები;

- სკოლის კათედრების დებულების, სადამრიგებლო მუშაობის დებულების, სკოლაში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულების, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ (2025 წლის 24 მარტის ბრძანება N2-23)
- ინტეგრირებული გაკვეთილი საინფორმაციო ტექნოლოგიებში (ე.კ);
- კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. შემუშავებული და დამტკიცებულია ნომენკლატურა, რის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმისწარმოება. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow). სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მისთვის მინიჭებული მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით იგი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას. კერძოდ: ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, აგრეთვე, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვისათვის საჭირო ღონისძიებებს, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვ.
ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. წერილებსა და სამსახურეობრივ ბარათებს სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები ავტომატურად ენიჭება Eflow-ში რეგისტრაციის მიხედვით. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო 3 სახის ჟურნალი: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.
საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს როგორც სისტემის შიდა (Eflow, eSchool-ის ერთიანი ბაზა), ისე გარე საკომუნიკაციო საშუალებებს (Google). eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემა ასევე ასახავს სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციას, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემებსა და საკონტაქტო ინფორმაციებს. eSchool-ის ბაზაში არის ასევე ასახული სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, ბაზაში ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილება, ასევე საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. ზოგიერთი ინფორმაცია და დოკუმენტი მიიღება აგრეთვე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე kakhati1@mes.gov.ge. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის პროფილს მართავს სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. ელექტრონული ბაზა მუდმივად განახლებადია და შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, საგაკვეთილო ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვ. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, არქივზე პასუხისმგებელი პირი სკოლის საქმისმწარმოებელი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან, საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება მითითებულ ვადებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ (2025 წლის 24 მარტი N2-23 ბრძანება)
- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი)
- Eflow, Eschool, Teams, , Outlook და ელექტრონული ჟურნალის პროგრამების ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის სოციალური ქსელის ლინკი: https://www.facebook.com/share/1BEqLekv3r/
- https://skolebi.emis.ge/kakhati1

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში აქტიურადაა დანერგილი უშულო კომუნიკაციის პრაქტიკა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა ნებისმიერ სიახლეს მასწავლებლებს აცნობს პედაგოგიურ საბჭოზე და სამუშაო შეხვედრებზე, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას. მშობლებთან კომუნიკაციის კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი, სადაც დეტალურადაა გაწერილი მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და წესი. გარდა ამისა, ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე.

სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი (facebook), სადაც მუდმივად თავსდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე.წ დახურული ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

სოციალური ქსელი - ეს სივრცე არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავსდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მშობლებს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული

ფოსტის მეშვეობითაც. პერიოდულად იმართება საინფორმაციო სახის შეხვედრები მოსწავლეებთან, აგრეთვე, სკოლის დირექციის უშუალო მონაწილეობით იმართება შეხვედრები მშობლებთან.

რაც შეეხება სკოლის ვებგვერდს - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სსიპ - განათლების მართვის საინფომაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდზე skolebi.emis.ge სკოლისთვის გამოყოფილი სივრცე. ყველა მონაცემი/ინფორმაცია ატვირთული და გამოქვეყნებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს განსაზღვრული ვებგვერდის, ასევე სოციალურ ქსელში შესაბამისი გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აღნიშნულ პლატფორმებზე ინფორმაციის განთავსების საფუძვლად იყენებს სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული დოკუმენტაციის შინაარსს (მაგ. სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები და ა.შ.). სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება მშობლის თანხმობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამ შეიმუშავა მშობელთა, თანამშრომელთა და მოსწავლეთა კითხვარები, მიღებული ინფორმაცია დამუშავდა, გამოვლინდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნულის გამოვლენის შემდეგ, დაიგეგმა პრობლემების გადაჭრისა და განვითარების გზები. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში ქვეყნდება თითქმის ყოველდღიური ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, სადაც ჩართულია კომენტარების ველი და ნებისმიერ პირს აქვს საშუალება სკოლას მიმართოს შეკითხვით, შესაბამისად სკოლა იღებს უკუკავშირს, რომელიც გამოყენებული და გათვალისწინებული იქნება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც სრულყოფილადაა გამოქვეყნებული ყველა ის საჯარო ინფორმაცია, რაც განსაზღვრულია სტანდარტით. გამოქვეყნებული ინფორმაცია სახელმწიფო ენაზეა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული**

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში ზოგიერთი წესის დამტკიცების შესახებ (2025 წლის 14 იანვრის ბრძანება N2-05; დანართი N2 სკოლაში საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი)
- მშობელთა, თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან კითხვარები
- ეკო-კლუბი „მწვანეები“
- სკოლის სოციალური ქსელის ბმული: https://www.facebook.com/share/p/1AUSLEwTim/
- სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება
- სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გათვალისწინებულია შემდეგი ხარჯების დაფინასება:

- სკოლის პერსონალის შრომითი ანაზღაურების დაფინანსება;
- კომუნალური ხარჯების გაწევა;
- საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა;
- საოფისე ავეჯი.

სკოლის სამოქმედო გეგმა შედგენილია, სკოლის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და უზრუნველყოფილია მისი განხორციელება. სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნების მისაღწევად სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. სკოლის წლიური შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე და დამტკიცებულია ვადებში.

სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მოსწავლეების მშობლები და მოსწავლეთა თვითმართველობა. ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი დგება და მტკიცდება მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში. ვაუჩერული დაფინანსების ცვლილებასთან ერთად (მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება, საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა) ხდება ბიუჯეტის კორექტირება. სკოლის დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის სწორად დაგეგმვისა და მომზადებისას გათვალისწინებულია სკოლის შემოსავლები როგორც ვაუჩერული, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (იჯარები). მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია პრიორიტეტული მიმართულებები და სავარაუდო ხარჯები, რომლებიც დგება წინა წლის გამოცდილებებეზე დაყრდნობით. ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშს სკოლის ფინანსური საქმიანობის შესრულების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. ბიუჯეტის გეგმის პროექტს შეიმუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბუღალტერი, სკოლის დირექტორის მონაწილეობით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. ასევე, სკოლას აქვს სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება ხარჯვის განხორციელება, ყოველივე აღნიშნული არის სრულად გამჭვირვალე. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველწლიურად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს დაფინანსების დინამიკის შესწავლას, რისი ანალიზის საფუძველზეც იგეგმება შემდგომი წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის წლიური ანგარიშის წარდგენა ხდება სამეურვეო საბჭოსთვის ყოველი წლის დასრულებამდე, სადაც ხდება დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დაწვრილებით აღწერა სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ გეგმავს ამ მიმართულებით სასკოლო საზოგადოების უფრო აქტიურ ჩართულობის უზრუნველყოფას. შექმნილია სამუშაო ჯგუფები და მიმდინარეობს მუშაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორად, შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ (2024 წლის 03 ოქტომბერი N 2-136 ბრძანება)
- პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლისთვის მისაღები შესყიდვის ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრისა და ბაზარზე არსებული ფასების გამოკვლევის კომისიის შექმნის შესახებ (2024 წლის 01 ნოემბრის N2-149 ბრძანება)
- სკოლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესისა და შესყიდვების წლიური გეგმის ფორმის დამტკიცების თაობაზე (2024 წლის 01 ნოემბრის N2-150 ბრძანება);
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 04 ნოემბრის N2-151 ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესის განსაზღვრის შესახებ (2024 წლის 05 ნოემბრის N2-152 ბრძანება);
- სკოლის ბაზრის და ბაზარზე არსებული ფასების გამოკვლევის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი N1;
- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურეობრივი ბარათი;

- სკოლის 2025 წლის 15 ნოემბრის 2-153 ბრძანება სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 09 დეკემბრის N13 სხდომის ოქმი; (სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა);
- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 30 დეკემბრის N14 სხდომის ოქმი; (2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცება)
- შესყიდვის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს ზოგად დებულებას, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაოს დაწყების

და დამთავრების დროს, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადების და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესს, შრომითი ანაზღაურების გაცემის წესს, შვებულების გაცემის და ხანგრძლივობის წესს, შრომითი პირობების დაცვის წესს, დასაქმებულის და მოსწავლის წახალისების წესს, დისციპლინური დევნის და პასუხისმგებლობის სახეებს დასაქმებულის/მოსწავლის, დისციპლინური სახეების დაკისრების წესს, სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადებს და პირობებს, დასაქმებულის და მოსწავლის მატერიალურ პასუხისმგებლობას, განცხადების და საჩივრის განხილვის წესს, სასწავლო პროცესის მარეგულერებელ ნორმებს, სკოლაში ჩაცმულობის წესს. სკოლის შინაგანაწესი თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა, რომ ყველა საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი.

სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი. ამ სტრუქტურაში მასწავლებელსა და მშობელთან ერთად თანაბარი რაოდენობის პრინციპით არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარდგენილი წარმომადგენელი (მოსწავლე). სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სკოლაში არ დაფიქსირებულა და, სკოლის დისციპლინურ კომიტეტში განსახილველად არ შესულა დისციპლინური დევნის დაწყების არც ერთი ფაქტი.

მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები გაწერილია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სკოლასთან დადებულ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებები გაფორმებულია ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, დადასტურებულია ხელმოწერით და შეიცავს მხარეთა სავალდებულო რეკვიზიტებს.

პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი“, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების წესს, შეიცავს მონაცემთა სუბიექტების უფლებებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირს, მონაცემთა გამოყენების და მასზე წვდომის შესახებ განმარტებას და ვალდებულებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა შიდა რეგულაციებით ახორციელებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას, სკოლაში ფუნქციონირებს კანონით გათვალისწინებული სტრუქრურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო, ორგანიზებულ და კეთილგანწყობილ გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არსებული,

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციების შინაარსი გამჭვირვალეა. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მოსწავლის უფლებების გაცნობა სხვადასხვა საშუალებებით: გარდა იმისა, რომ შინაგანაწესი გამოკრულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას სკოლაში, სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შინაგანაწესს. დამრიგებლები აღნიშნულს ასახავენ სადამრიგებლო პროგრამებში.

სკოლაში მოსწავლეთა მონაწილეობით შეიმუშავებენ ქცევის წესებს და კლასის დამრიგებლები მოსწავლეებთან ერთად ატარებენ ამ წესების შესრულების რევიზიას. წესები გამოკრულია კლასებში თვალსაჩინო ადგილას. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრის დროს განიხილება ამ წესების ეფექტიანობა. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლეთა მონაწილეობით შემუშავებული სასკოლო რეგულაციების შესრულებას თავად მოსწავლეები უფრო მეტი მათ პასუხისმგებლობით ეკიდებიან და ხელს უწყობს მათში გუნდურობის, ,,ჩვენ" განცდის უნარის ჩამოყალიბებას.

სკოლაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე, გამოკრულია ყველა საჭირო ცხელი ხაზის ნომრები (112, სახალხო დამცველის და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსი და ა.შ.) სკოლას აქვს ვებ.გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს მესენჯერ ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორამაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. ხელშეკრულებები ხელმოწერით არის დადასტურებული და შეიცავს მხარეთა სავალდებულო რეკვიზიტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;

- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცებისა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2017 წლის 21 ნოემბრის N2-133 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (2025 წლის 07 აპრილის N2-28 ბრძანება);
- სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1 (2024 წლის 21 ოქტომბერი);
- სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N1 (2024 წლის 18 ოქტომბერი);
- სკოლის მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ვიზუალური მტკიცებულებები (ცხელის ხაზის ნომრები; ბროშურები);
- საჯარო სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულება;
- სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ (2025 წ.13 იანვრის N2-02).

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომელიც მოიცავს მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის მობილობის, კლასის და საფეხურის დაძლევისათვის საჭირო პროცედურებს.

პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება დადგენილი წესით, კერძოდ, მოსწავლე რეგისტრირდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი

აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, აგრეთვე, გათვალისწინებული და გაწერილია სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ზოგადად, სკოლა გადაწყვეტილებებს აღნიშნულ საკითთან მიმართებაში, ხელმძღვანელობს და გადაწყვეტილიებებს იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული წესის გამჭვირვალობისათვის და მშობლების ინფორმირებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია, teams-ის პლატფორმა, სადაც ხდება ინფორმაციის/დოკუმენტაციის ატვირთა. მშობლებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ელექტრონული ჟურნალით სარგებლობას, მოსწავლეთა გაცდენები და ნიშნების ფურცელი ელექტრონულად (ელ. ფოსტით, მესენჯერში, ტელეფონზე) ეგზავნებათ დამრიგებლების მიერ. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მშობლებთან მათი შვილის აკადემიური მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა იცავს და ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“-თ, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“-თ. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესახებ ხდება მშობლის მუდმივი ინფორმირება სატელეფონო საუბრების და პირადი შეხვედრების ფორმატში. ხდება გაცდენების მუდმივი მონიტორინგი, რაც ასევე შესაძლოა გახდეს მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი. სტატუსის შეჩერებამდე ასევე ხდება სოციალური მუშაკის ჩართვა და ამ გზებით ოჯახთან დაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის თანამშრომლები იცავენ კანონს და წესებს პირის პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. ისინი დაინტერესებულ პირებს აწვდიან სწორ ინფორმაციას. პროგრამებისა თუ დამატებითი მომსახურებების შესახებ ინფორმაცია არის სასკოლო სასწავლოგეგმის ნაწილი და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში ჩამოყალიბდა ოთხი კლუბი. არსებობს სამოქმედო გეგმა, გაწევრიანებით დაინტერესებული პირები იცნობენ კლუბის წესდებას.

სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს ამოქმედდა მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამა რემედიაცია. სკოლის დირექციამ საინფორმაციო შეხვედრებზე გააცნო მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს პროგრამის მიზნები, ამოცანები. დაანახა პროგრამაში ჩართვის საჭიროება შესაბამისად პროგრამაში ჩართვის სურვილი დადასტურდა შეთანხმების გაფორმებით. რემედიაციის პროგრამა, სკოლის მიერ შემუშავებული დებულების შესაბამისად, შექმნილია თითქმის ყველა სასკოლო საგანში და გაწერილია ორ თვეზე. პროგრამაში მოცემული თემები და აქტივობები ეფუძნება დიაგნოსტიკურ კვლევას მოსწავლის საჭიროებების შესახებ. გათვალისწინებულია მოსწავლის განვითარების მონიტორინგი და ახალი აქტივობების დაგეგმვის პერსპექტივაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ქსელში ფეისბუქ გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო თემის ყოველ წარმომადგენელს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე, სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს). სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. სკოლაში არსებულ წრეებსა და კლუბებზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. აღნიშული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის №2-14 ბრძანება „სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლში 2025-2026 სასწავლო წელს პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ“
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის №2-159 ბრძანება სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლის მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 18 ივნისის N2-70 ბრძანება სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 თებერვლის N 2-11 ბრძანება„სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მე-10ა კლასიდან მოსწავლის ა.გ. ამორიცხვის შესახებ“
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 მაისი №2-47 ბრძანება „სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ“
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს 20.05.2024 წლის ოქმი N3;
- სკოლაში მოსწავლეთა ტრანზიციისა და რემედიაციის წესების დამტკიცების შესახებ (2025 წლის 13 იანვრის N2-04)
- რემედიაციის პროგრამა;
- ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა;
- საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა(ინკლუზიური განათლება)
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N7 (2024 წლის 01 ივლისი)
- საკლუბო მუშაობის ამსახველი მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურგი საბჭოს მიერ.

„სკოლა ყველასთვის“ - ასეთია სკოლის თანამშრომელთა დევიზი. სკოლა მიიჩნევს, რომ ეს, პირველ რიგში, გულისხმობს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის, მათი ინტერესების და მიდრეკილებების გათვალისწინებით, ჯანსაღ სასწავლო და ფსიქო-ემოციურ გარემოს. ამის უზრუნველსაყოფად: პირველი კლასების მასწავლებლებს აქვთ პირველკლასელთა სკოლასთან ადაპტაციის პროგრამა და აქტივობები. კლასის დამრიგებლები თავიანთ სადამრიგებლო პროგრამებში ითვალისწინებენ სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეების სკოლის გარემოსთან უმტკინვეულო ადაპტაციის აქტივობებს. იქმნება რემედიაციის და ინდივიდუალური პროგრამები სხვადასხვა მიზეზით აკადემიური განვითარების თვალსაზრისით პრობლემების მქონე მოსწავლეებისათვის. სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილია ხელსაყრელი ფსიქო-ემოციური გარემო. სკოლის ტრანზიციის პროგრამა შეესაბამება მოსწავლის უნიკალურ საჭიროებებს.

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლის ყველა თანამშრომელი აცნობიერებს, რომ სასკოლო გარემოში მოსწავლის ადაპტაცია/ტრანზიციის პროცესში წარმოშობილი ნებისმიერ პრობლემა (იქნება ეს ფიზიკური, ემოციური თუ ფსიქოლოგიური) დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის ხარისხზე, შრომისუნარიანობაზე, ურთიერთობების ხარისხზე. ამიტომ სკოლაში მოსწავლეთა მხარდაჭერისათვის ტარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის პირველ კლასში შვილის სწავლის სურვილს გამოთქვამენ არა მარტო ადგილობრივი (სოფლის) მაცხოვრებელი მშობლები, არამედ მეზობელი სოფლების და ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრებელი ოჯახებიც. სკოლას აქვს მშობლებთან კომუნიკაციის, მათი ინფორმირების და პირველი კლასების ბავშვების სასკოლო გარემოსთან ადაპტირების კარგი

გამოცდილება. მოსწავლეთა გაცნობა იწყება საბავშვო ბაღებიდან. მათ შესახებ გარკვეულ ინფორმაციებს სკოლა იღებს საბავშვო ბაღების პედაგოგებისაგან, მომავალი პირველი კლასის მასწავლებლები ესწრებიან საბავშვო ბაღების ღონისძიებებს, მჭიდრო კავშირი აქვთ ბავშვებთან და მათ მშობლებთან. მოსწავლეთა პირველ კლასში რეგისტრაციის პერიოდში მშობლებს ეგზავნებათ საინფორმაციო ხასიათის წერილები, სადაც ისინი ეცნობიან იმ სერვისებს, რომლებსაც სკოლა სთავაზობს/შესთავაზებს მოსწავლეებს. სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლის დირექცია და პირველი კლასების მასწავლებლები ხვდებიან მოსწავლეებს და მათ მშობლებს, ერთობლივად გეგმავენ პირველი სასწავლო დღის აქტივობებს, მათ შორის-პირველკლასელთა პირველ კლასში მიღების საზეიმო ცერემონიალს, რაც ტრადიციული ღონისძიებაა სკოლისათვის. შემდეგ კი კლასის დამრიგებლები დეტალურად აცნობენ პირველკლასელებს სასკოლო გარემოს.

სკოლაში რეგულარულად ტარდება სადამრიგებლო საათები, სადაც ბავშვები საუბრობენ თავისუფალ თემებზე. სასწავლო გარემოსთან ახალი მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სასკოლო აქტივობები, მათ შორის არაფორმალური მიმართულებით, სადაც მათი მონაწილეობა აჩენს სკოლის სიყვარულისა და მიკუთვნებულობის გრძნობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ განმავითარებელი უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მათი კონსულტირება საგნის მასწავლებლებთან. რა დროსაც მკაფიოდ იკვეთება, თუ რა პროგრესი განიცადა მოსწავლემ. კლასის დამრიგებელი რეგულარულად, ინდივიდუალურად აცნობს მოსწავლის მშობელს ინფორმაციას აკადემიური მოსწრების შესახებ სხვადასხვა საგნებში, კოორდინაციას უწევს მშობლებისა და საგნის მასწავლებლების კავშირს, რაც უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობას მოსწავლის საჭიროებების დადგენაში და სწავლა-სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რამაც უნდა გააუმჯობესოს შეფასების სისტემის ხარისხი სკოლაში. სასკოლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები: სემესტრული გამოცდა; წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა; საშემოდგომო გამოცდა; ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა; მოსწავლისათვის საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება შესაბამის საგანში კონსულტაციები. მასწავლებლების სასწავლო პროცესის დაგეგმვა/ორგანიზებისას იყენებენ დიფერენცირებულ სასწავლო მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაში, მასალის გაგება-გააზრებაში, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებაში და თვითშეფასებაში.

სკოლაში დანერგილია სკოლის მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამა რემედიაცია. იგი გულისხმობს სწავლაში არსებული პრობლემების შემცირებას ან აღმოფხვრას ხელახლა და/ან სწავლების გზით, კონკრეტული აქტივობების საშუალებით. რემედიაციის პროცესში მთავარი ფაქტორი არის მასწავლებელი. მისი საქმიანობა მოქნილია სხვა ადამიანების (მშობელი/ოჯახი, სხვა/დამხმარე მასწავლებელი, ადმინისტრაცია) ჩასართავად. სკოლა იღებს გადაწყვეტილებას სარემედიაციო პროცესის ფორმალიზების მიმართულებით. ეს გულისხმობს მოსწავლეთა იდენტიფიცირებას, სარემედიაციო მეცადინეობებისთვის დროისა და ადგილის განსაზღვრას, მეთოდური რესურსებითა და მასალით უზრუნველყოფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა სხვადასხვა საშუალებით უწევს მოსწავლეებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ეს მხარდაჭერა უფლებების რეალიზებისთვისაა გამიზნული. მართალია, მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხი ცენტრალიზებულია და გულისხმობს გარე მხარდამჭერ მექანიზმს, თუმცა სკოლის დირექციის მხარდაჭერა შუამდგომლობით გამოიხატება. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს ექსტერნის წესით გამოცდების ჩატარების მიზნით ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყოფას. გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები. სკოლა ჩართულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, სადაც მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ და ეს ყველაფერი ხელს უწყობს მათ მოტივაციასა და ჩართულობას.

სკოლის მოსწავლეთა შესაძლებლობების წარმოჩენას ხელს უწყობს სასკოლო კლუბები, სკოლის დირექცია აქტიურ მხარდაჭერას უწევს მოსწავლეთა ინიციატივებს, რაც ხელს უწყობს მათ, იყვნენ უფრო მოტივირებული და ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს ინოვაციური იდეებისა და ხედვების რეალიზაციაში. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში ჩამოყალიბდა ოთხი კლუბი. არსებობს სამოქმედო გეგმა, გაწევრიანებით დაინტერესებული პირები იცნობენ კლუბის წესდებას.

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოსწავლისთვის ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, ამ მხრივ სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ხორციელდება აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას, რაც შემდგომში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე თეორიულ ცოდნასთან ერთად იძენს პრაქტიკულ გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა 2008 წლიდან ჩართულია გერმანულ-ქართულ პროექტში „სკოლები - მომავლის პარტნიორები". პროექტის პროგრამა გულისხმობს გერმანული ენის მაღალ დონეზე სწავლებას. გარდა ამისა, მოსწავლეები უკვე დაწყებითი საფეხურიდან ჩართულნი არიან კითხვის, ხატვის, თეატრალური წარმოდგენების კონკურსებში, სპორტულ შეჯიბრებებში, ესეების კონკურსებში, ციფრული წიგნიერების აქტივობებში, საერთაშორისო კონკურსებში, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას დაისვენონ და ცოდნა გაიღრმავონ სხვადასხვა საზაფხულო ბანაკებში, ევროპის (ძირითადად გერმანიის) ქალაქებში და ა.შ.

შექმნილია სასკოლო კლუბები ინგლისური ენის, ბუნებისმეტყველების, წიგნიერების, მოქალაქეობის მიმართულებით. კლუბის წევრი მოსწავლეები ფასილიტატორი მასწავლებლების მხარდაჭერით ახორციელებენ სასკოლო პროექტებს, აწყობენ შეხვედრებს საინტერესო ადამიანებთან, მონაწილეობენ და იმარჯვებენ რეგიონალურ კონკურსებში, აწყობენ ექსკურსიებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ როდესაც მოსწავლეს უჩნდება სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, ჯერ საგნის მასწავლებელი იწყებს დამატებით მუშაობას მოსწავლესთან, დახმარების მიზნით აწვდის ინფორმაციას მშობელს, შემდეგ ერთვება კლასის ხელმძღვანელი და დირექცია პირველადი ღონისძიებების გატარების მიზნით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ თუ სკოლა ვერ დაინახავს მოსწავლის პროგრესს, მაშინ სკოლა, მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, პროცედურების დასაწყებად მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს შეფასებისთვის. შედეგები გათვალისწინებული იქნება მომდევნო საქმიანობის დროს.

სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში, საჭიროების გათვალისწინებით, ატარებს მოსწავლეთა გამოკითხვებს (წერილობითი ფორმით) მათი ინტერესებისა და საჭიროებების, აგრეთვე, პრობლემების შესახებ. მაგალითად, როგორია სწავლების ხარისხი სხვადასხვა საგნებში, რა შინაარსის და ფორმის მომსახურება სჭირდებათ მათ, რამდენად მისაღებია მათთვის სკოლაში არსებული ფსიქო-ემოციური გარემო და ა. შ. გამოკითხვის ანალიზი სკოლას აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს არსებული მდგომარეობა და დაგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში მოსწავლეთა ტრანზიციისა და რემედიაციის წესების დამტკიცების შესახებ (2025 წლის 13 იანვრის N2-04 ბრძანება)
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1. (2025 წლის 13 იანვრის; სემესტრის შეფასება)
- სკოლის დამრიგებლების პროგრამა
- სკოლის კლუბების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია (პროექტის ამსახველი მასალები, ფოტოსურათები)
- მოსწავლეთა კითხვარი
- ვიზუალური დათვალიერება
- სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კლასის საათის რეფლექსია;
- სკოლის მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამა - რემედიაცია
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (შეფასების სისტემა)
- 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე 30%-ი და მეტის გაცდენების გამო ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარების მასალები;
- სკოლის თვითმმართველობის დებულება (2024 წლის 04 ოქტომბრის N2-140 ბრძანება)
- საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა;
- მოსწავლეთა ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა მოსწავლეებს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. სადამრიგებლო პროგრამის მეშვეობით სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენაში. ისინი ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კონკრეტული პროფესიის სწორად არჩევაში.
სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის საგანია, მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა პარტნიორი და ბენეფიციარი სკოლის მოსწავლეებისთვის

პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსების გაცნობა. ასევე, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სს „ცხუმ-ეგრისთან“. ეს არის მრავალპროფილიანი კოლეჯი და აქვს პროფესიული პროგრამები, როგორც საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულებისთვის, ისე საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეს და მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია მიეწოდება Microsoft Teams-ის დახურული ჯგუფის მეშვეობით. ასევე პირდაპირი შეხვედრებით სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს გამოცხადებულ ღია კარის დღეებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე. პროფორიენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა და უნარები, რომელიც სჭირდება წარმატებული არჩევანის გასაკეთებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის მიერ ყოველი შემდგომი სასწავლო წლის დაწყების წინ ხდება წინა სასწავლო წლის შედეგებისა და მონაცემების ანალიზი, რის საფუძველზეც სკოლა ითვალისწინებს წინარე შედეგებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა მუდმივად იკვლევს თავის კურსდამთავრებულთა მიღწევებს უმაღლეს სასწავლებლებში, ახდენს შედარებას გასული სასწავლო წლის შედეგებთან და ანალიზის საფუძველზე გეგმავს ღონისძიებებს სწავლა-სწავლების პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლასა და სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი;

- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლასა და შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისს შორის გაფორმებული მემორანდუმი;
- შეხვედრების და აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა, სოციალურ ჯგუფში გამოქვეყნებული ინფორმაციები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში სკოლა იყენებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ინკლუზიური განათლების გზამკვლევს. ინკლუზიური განათლების დანერგვის/განხორციელების ეტაპები გაწერილია სკოლის სასწავლო გეგმაში; ინკლუზიური განათლების ძირითადი ამოცანები და განსახორციელებელი აქტივობები გაწერილია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმაში. სკოლას გათავისებული აქვს, რომ ინკლუზიური განათლების განვითარების მეთოდოლოგია არის ციკლური პროცესი, რაც გულისხმობს დაგეგმვას/ შემუშავებას; განხორციელებას; შეფასებას/მონიტორინგს; ცვლილებების შეტანას - ინტერვენციების დაგეგმვას და განხორციელებას.

ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 3 სსსმ მოსწავლე. თითოეული მოსწავლისთვის სკოლას შექმნილი ჰყავს ისგ ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია თითოეული საგნის მასწავლებელი, ბავშვის მშობელი და სპეციალური მასწავლებელი. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური პედაგოგი, მულტიდისციპლინარული გუნდის გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოსწავლის საჭიროებები, ასევე დამატებითი სერვისების საჭიროებები. დაიგეგმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრები. შემუშავდა მოსწავლის ინდივიდუალური განრიგი. ისგ-ს ჯგუფის წევრებმა განსაზღვრეს ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების შესაძლებლობები და განსაზღვრეს მოსწავლის სწავლა-სწავლების სტრატეგიები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენისას სკოლა ხელმძღვანელობდა ეროვნული სასწავლო გეგმით. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლებმა ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში დასახეს გრძელვადიანი მიზნები. სსსმ მოსწავლის სასწავლო კურიკულუმი შეიქმნა თემატური მატრიცის დიზაინით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა მიმართულია ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისაკენ და მისი ხედვა დეკლარირებულია დაწესებულების მისიასა და ხედვაში. სკოლის შინაგანაწესში სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირებს ეკრძალებათ სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლა სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება სსსმ მოსწავლეთა მშობელზე/ კანონიერ წარმომადგენელზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების კურიკულუმები გაზიარებულია დაინტერესებული საზოგადოებისათვის (კათედრები, პედაგოგიური საბჭო, ისგ-ს ჯგუფები). სწავლის დაწყებამდე ტარდება ინდივიდუალური სასწავლი გეგმის ჯგუფის შეხვედრები, სადაც მშობელსა და მასწავლებლებს შორის ხდება ინფორმაციის გაზიარება უსაფრთხოების დამატებით საკითხებთან დაკავშირებით. ხდება უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოსწავლისთვის მისთვის გასაგები ფორმით ინსტრუქციების გაცნობა;

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის აკადემიური წარმატების მიღწევის და სხვადასხვა უნარების დაუფლების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია ოჯახის აქტიური ჩართვა ბავშვის სწავლებისა და განვითარების პროცესში.

სკოლაში სსსმ მოსწავლის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია. მისი საჭიროების შესახებ ინფორმაციას სკოლას აწვდის მშობელი ან მასწავლებელი. მასწავლებლის შემთხვევაში ადმინისტრაცია აწარმოებს საუბრებს მშობელთან და მისი თანხმობის შემთხვევაში მშობელი ავსებს შესაბამის ფორმას. შეფასების შემდეგ სკოლა განახორციელებს გათვალისწინებულ სამუშაოებს (ისგ-ს ჯგუფის შექმნა, საჭიროებების განსაზღვრა).

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის პრაქტიკა. მან ხაზი გაუსვა, რომ ისგ-ის განხორციელებისას გადამწყვეტია ეფექტური კომუნიკაცია, ურთიერთინფორმირება და მიზნების მხარდაჭერა სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა რგოლს შორის - მოსწავლე, თანაკლასელები, მასწავლებელი, მშობელი, სპეციალური მასწავლებელი, ადმინისტრაცია. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული პროცესის ეფექტურ მენეჯმენტს, რისი პრაქტიკაც სკოლას ასევე აქვს. სსსმ მოსწავლის მშობლები აქტიურად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში. ისინი მონაწილეობენ კლასის აქტივობებში, სპორტულ ღონისძიებებში. ყველაზე მნიშვნელოვანია პოზიტიური გარემო, რაც სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში შექმნილია.

სკოლის დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას საწყის ეტაპზე ჰქონდა გამოწვევები სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში ინტეგრირების საკითხში, მაგრამ თანატოლებთან და მათ მშობლებთან შეხვედრებმა, საუბრებმა თავისი შედეგი გამოიღო. ამჟამად მთავარი გამოწვევა სკოლისათვის არის ფსიქოლოგის დასაქმება. მიუხედავად მრავალგზის ვაკანსიის გამოცხადებისა, სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლე მ.ფ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლე ა.ბ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ინკლუზიური განათლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (და გეგმები)
- სკოლის ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ (2024 წლის 22 მაისის N2-49 ბრძანება)
- საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მასალები
- სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები/დასკვნები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა სარგებლობს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის მხარდაჭერით და სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას მოსწავლეებს, ამის

თაობაზე სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ყოველდღიურად აღრიცხავს ტრანსპორტის გადაადგილებას. დირექტორის მიერ დამოწმებული შევსებული ტაბელი ყოველთვიურად ეგზავნება რესურსცენტრს.
სკოლამ მიიღო შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან უფლება საქმიანობის განხორციელების შესახებ და სასკოლო საზოგადოებას შესთავაზა დამატებითი მომსახურეობა კვების სერვისი. ფართი იჯარით გაიცა სამეურვეო საბჭოს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ზემოაღნიშნული სერვისების საჭიროება დადგენილია და ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. სკოლის მიერ გათვალისწინებულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა სურვილი. სერვისის მიწოდება უზრუნველყოფილია კანონმდებლობის სრული დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მომსახურებები ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ნებართვა -ქონების მართვის ეროვნული სააგენტო;
- იჯარის ხელშეკრულება რაც იჯარას ეხება ყველაფერი მიღება-ჩაბარებით);
- იჯარაზე თანხმობა-სამინისტროდან;

- აუდიტის დასკვნა;
- კვების ობიექტის თანხმობის წერილი;
- ნებართვა იჯარაზე;
- აუქციონის მასალები;
- ინფორმაცია გამარჯვებულზე;
- თანხმობა ბუფეტის ფუნქციონირებაზე;
- მოსწავლეთა ტრანსპორტირების ტაბელები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
დაწყენითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა აღიქვამს კურიკულუმის შემუშავებას არა მხოლოდ ფორმალურ პროცესად, არამედ როგორც სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესების, შეხედულებებისა და უნარების სისტემურად გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მასალების მიხედვით ირკვევა, რომ პერიოდულად, მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაცია ერთობლივად აფასებენ სასწავლო პროცესს, ადგენენ საჭიროებებს, უზიარებენ ერთმანეთს ხედვებს და განსაზღვრავენ სკოლის სასწავლო პრიორიტეტებს. სკოლაში ჩამოყალიბებულია პარტნიორული ურთიერთობების კულტურა, გადაწყვეტილებები მიიღება ინკლუზიურად და ღიად შესაბამისად, სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადლების ინტერესი, შეხედულებები და პრიორიტეტები, რასაც ადასტურებს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2015 წლის 14 იანვრის N 2-07 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N 1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის განვითარება.“
აღნიშნული დოკუმენტის თანახმად ,სკოლა ადაპტირებს სასწავლო გეგმას თემის საჭიროებებზე, რესურსებსა და მოსწავლეთა მრავალფეროვან შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს ინოვაციასა და სკოლის უწყვეტ განვითარებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო გეგმის შინაარსი გამოხატავდეს იმ თემებს, ღირებულებებსა და მიზნებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრისთვის – მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის. სკოლა ქმნის კვლევისა და დიალოგის სივრცეს, სადაც რეგულარულად ხდება საჭიროებების შეფასება და ინტერესების ინტეგრირება კურიკულუმში. ეს პროცესი დეტალურადაა გაწერილი სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2015 წლის 14 იანვრის N 2-07 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტში „ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N 1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის განვითარება“, კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხდება სასკოლო კურიკულუმის ანალიზი, რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, დირექციის მუშაობა, - მონაცემთა შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, იქმნება რეკომენდაციების პაკეტები მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში არსებული ჩანაწერის მიხედვით „რეკომენდაციები უზრუნველყოფს მომდევნო წელს მყარ კორელაციას შეთანხმებულ და აღსრულებულ კურიკულუმებს შორის“, შედეგად, სასწავლო პროცესი ხდება შინაარსობრივად მნიშვნელოვანი და სასკოლო საზოგადოების მოტივაციაზე ორიენტირებული. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის ერთობლივ შემუშავებას. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუმ, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N 1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის განვითარება - დოკუმენტის ანალიზმა დაადასტურა, რომ სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია მასწავლებლები, მშობლები, სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობა აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო კურიკულუმის შექმნაში. მათ ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრებები და საჭიროებები გააზიარონ სპეციალურ სამუშაო ჯგუფებში, საკონსულტაციო შეხვედრებზე ან გამოკითხვების ფორმატში. ეს პროცესი აძლიერებს სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობას და ზრდის კურიკულუმისადმი ნდობასა და ერთგულებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი კურიკულუმი ეფექტურად და ღიად ზიარდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთან. კორიკულუმის კონცეპტუალური ნაწილი გამოკრულია სკოლის დერეფნებში, სკოლა უზრუნველყოფს, რომ თითოეულ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს წვდომა კურიკულუმზე და მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე – იქნება ეს დოკუმენტური ფორმით, შეხვედრების, საინფორმაციო სესიების თუ დისკუსიების საშუალებით. კურიკულუმის გაზიარება იწვევს საერთო პასუხისმგებლობის განცდას. აღნიშნული დოკუნტის გაზიარება ხდება სკოლის ვებ-გვერდის , სკოლის ელექტონილი ფოსტის , დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის, სოციალური მედიის, ბეჭდითი მასალებისა და საჯარო ღონისძიებები მეშვეობით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2015 წლის 14 იანვრის N 2-07 ბრძანებით დამტკიცებული „ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათის N 1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის განვითარება;“
- კათედრების სხდომის ოქმებით; სკოლის ვებ -გვერდი, სოციალური მედია,
- კრებებისა და შეხვედრების ოქმები.საგნობრივი კურიკულუმები;შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;პროექტები; ინტეგრირებული გაკვეთილი;მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა;
- ვერიფიკაციის წესი; შემაჯამებელი წერები; მოდიფიცირებული დავალებები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და მისი შემადგენელი ნაწილები სამივე საფეხურზე(დაწყებითი, საბაზო და საშუალო) დაიგეგმა მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინეტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რომელიც თავად არის საკუთარი ცოდნის მწარმოებელი და სწავლის პროცესის წარმმართველი. კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ინტერესები, შესაძლებლობები. იკვეთება სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომები. კურიკულუმები დაიგეგმა კათედრაზე, რასაც მოწმობს კათედრის ოქმები და დაადასტურეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებასა. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, ექსკურსიები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)უცხო ენის კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან

	და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. კურიკულუმში ინტეგრირებულია სხვადასხვა სწავლების სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს უცხო ენის კლუბი, ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები, ეწყობა კონფერენციები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარად არის შემუშავებული და დაგეგმილი,რომ მოსწავლის გავითარებაზეა ორინტირებული და მკაფიოდ წარმოაჩენს ამ პროცესს.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო კათედრის მიერ სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული. მაგალითად, პაატა მამფორიას მოთხრობის ,,ეკამ წერილი მიიღო“ პერსონაჟ სიტყვის კაცისთვის წერილის მიწერა - მე-2 კლასი; ტ. ხავთასის მოთხრობა „მოხუცი და ბროლიას“ პერსონაჟ მოხუცის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით - მე-4 კლასი; რ.ინანიშვილის მოთხრობაში ,,მუხა“ გადმოცემული ამბის წარმოდგენა პერსონაჟის ხედვის კუთხიდან - მე-5 კლასი;ნარგიზა მგელაძის „უცნობი ბიჭის დღიურის'' მიხედვით პირადი დღიურის ჩანაწერების შექმნა - მე-8 კლასი; „ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტული თავების მიხედვით ანალიტიკური ესეს დაწერა სათაურით: „გულანშარო – უჩვეულო გარემო, განსხვავებული პერსონაჟები და ზნეობრივი ღირებულებები“-მე-10 კლასი; პრობლემაზე ორიენტირებული ესსე- ,,ჩატეხილი ხიდი“ -ილია ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი“ - მე-11 კლასი და სხვა

	გარდა ამისა, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
მათემატიკა	საგნობრივ კურიკულუმში ჩანს, სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის დაწყებითი,საბაზო და შაშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კომპიუტერული ტექნოლოგიების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს აქვთ

	მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები , რომლებიც მასწავლებლებთან გასაუბრებით როგორც ჩანს, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების დაწყებით I-VIკლასების საფეხურზე, ასევე საბაზო (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) და საშუალო (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საფეხურებზე კურიკულუმები დაგეგმილია ე.ს.გ.ის სტანდარტის მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით, ხოლო შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომელიც გაწერილია ყველა საგნის, ყველა კლასის კურიკულუმში და ასევე დადასტურდა

	ინტერვიუს დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას.განვითარებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.** **რჩევა - მესამე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სასურველია ჩასწორდეს თემები**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე(დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
უცხოური ენები	საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მიემართება 21-ე საუკუნის უნარებს, ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. წარმოდგენილი კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები) რაც მიანიშნებს იმას, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა. სკოლაში ხორციელდება პროექტები ,კონფერენციები, პრეზენტაციები, რომელთა წარდგენა ხდება საზოგადოების წინაშე, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. მოსწავლეებს უვითარდებათ ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზის, განსხვავებული აზრის მოსმენის, შემოქმედებითობის,თვითშეფასების, თავდაჯერებულობის უნარი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმები უმეტესწილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კონკრეტული ნიმუშები გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას და საგნობრივ კურიკულუმშიც ჩანს , რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა). **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, თუმცა მათემატიკის III და IV კლასის კურიკულუმში არასწორად არის ცნებები მითითებული და მასწავლებლებს მიეცათ რჩევა გამოსწორების. ასევე მესამე კლასის ბუნებისმეტყველება შემუშავებული აქვთ ძველი საგნობრივი სტანდარტით და ასევე რჩევის სახით მიეცა სკოლას გასწორების საშუალება. შუალედური სასწავლო მიზნები გაწერილი აქვთ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ I- VI კლასებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, (მცირე გამონაკლისის გარდა) ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

	რჩევა: მათემატიკის III და IV კლასის კურიკულუმებში მასწავლებლებმა აქტივობების შესაბამისად ჩაასწორონ ცნებები.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს; შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არსებული მატერიალური რესურსები და მათ შორის ელექტრონული სიმულაციებიც, რომლების მკაფიოდაა გაწერილი კურიკულუმებში. სწორად შერჩეული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, რაზეც მასწავლებლებმა ისაუბრეს ინტერვიუს დროსაც . **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმებში ასახულია ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
უცხოური ენები	სკოლაში გამოყენებული სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები (სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, ციფრული პლატფორმები და აუდიო-ვიდეო მასალები) სრულად უზრუნველყოფს უცხოური ენის სწავლების მიზნებსა და მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. კათედრის მიერ წაროდგენილი კურიკულუმების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ეხმიანება თანამედროვე მიდგომებს, როგორიცაა კომუნიკაციური სწავლება (CLT) და დიფერენცირებული სწავლება. მასწავლებლები იყენებენ როგორც ბეჭდურ, ისე ინტერნეტ

	რესურსებს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა), რაც მიზნად ისახავს ენის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი - გრიფირებული სახელმძღვანელო, დამატებითი ელ.რესურსები, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით.სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას უწყობს ხელს.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.** ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. რაც შეეხება შეფასებას, აღნიშნეს, რომ ეს არის საშუალება მოსწავლისთვის, გააუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და ზოგ შემთხვევებში მითითებულია გვერდები, ასევე რამდენიმეგან მითითებულია მაორგანიზებელი სქემები. თუმცა გასაუბრების პროცესში პედაგოგები საუბრობდნენ იმ ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. კერძოდ დაასახელეს ბუნებისმეტყველების სწავლებისას ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დაგეგმილი კურიკულუმების და მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მოსწავლეს აქვს მოქნილი სასწავლო გარემო. დაგეგმილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ჩავთვალოთ,რომ დავალების კომპლექსური ბუნება და შესაქმნელი პროდუქტის მრავალფეროვნება, აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. (მაგ, კომიქსი, პრეზენტაცია, მოდელი, პოსტერი და სხვა). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსიის მომზადება არის შესაძლებელი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული მიდგომების მაგალითებზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და კურიკულუმები ასევე იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღწერილი მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსოთახი ასევე იძლევა დიფერენცირების საშუალებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება.დანართის სახით წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებით, ინკლუზიური განათლების

	კონცეფცია, რაც მოიაზრებს იმას, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ცოდნის შეფასების მიხედვით. განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალსა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ). **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა და წარმოადგინეს კიდეც სახელმწიფო ენის სწავლებისას დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. მაგალითად, მე-8 კლასისთვის აკაკი წერეთლის მოთხრობა „ბაში-აჩუკის“ მიხედვით შედგენილი დიფერენცირებულ დავალებები, რომლებიც მოიცავს სამ დონეს: საწყისი, საშუალო და მაღალი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სწავლის სტილი; მე-10 კლასის მოსწავლეებისთვის დიფერენცირებული დავალებების ნიმუშები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილის ანდერძის ეპიზოდზე. დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით (კოგნიტური დონეების მიხედვით – დაბალი, საშუალო და მაღალი); გარდა ამისა, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას, რაც სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების კარგი წინაპირობაა. გასაუბრებიდან ასევე გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებსაც. პედაგოგებს აქვთ ინდგეგმაზე მუშაობის გამოცდილება. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდგეგმით.

მათემატიკა	სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი მასალები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში.იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და შაშუალი საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები კონკრეტული და სასწავლო მიზნების შესაბამისია. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ყოველი სასწავლო წლისთვის ქმნიან და ავითარებენ, ხვეწენ შეფასების რუბრიკებს. მათთან საუბრისას გამოიკვეთა რომ გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის, რომ განმავითარებელი შეფასება ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას (ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია

	მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს) , მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისა და განსხვავებული აკადემიური დონეების მქონე ბავშვების სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. სსსმ მოსწავლეებისათის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, წარმოდგენელია სპეც. მასწავლებლის ანგარიში, სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, რომლითაც დასტურდება ინკლუზიურ გარემოს მიმართ სკოლის მიერ ხაზგასმა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამივე საფეხურზე გამოყენებულია შეფასების ორივე ტიპი: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. შეფასების ორივე ტიპის რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავითარებელი, მოწოდებულია სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რუბრიკები ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს. განმსაზღვრელი შეფასება მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, დასასრულს და ასახულია შემაჯამებლების ანალიზში. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც ასახულია სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაში, კერძოდ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში და ამის შესახებ ისაუბრეს მასწავლებლებმა ინტერვიუში.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი

	სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.** **რჩევა- უმჯობესია განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისას, კრიტერიუმები თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიხედვით იქნას შედგენილი.**
უცხოური ენები	სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს; ასევე პედაგოგები ახორციელებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს; ასევე პედაგოგები ახორციელებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. და საგანებში:მ უსიკასა და სახვით და გამოყენებით

	ხელოვნებაში შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმები, მაგალითად, თხზულების შეფასების რუბრიკა - აკაკი წერეთლის მოთხრობა ,,ბაში -აჩუკი“; ნაწარმოების შინაარსი კომენტარით - შეფასების კრიტერიუმები; არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები- ჯემალ ქარჩხაძის ,,იგი“ და სხვა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან თანხვედრაშია სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი ისეთი შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა: დავალების პირობისა და ტექსტის გააზრების შეფასების რუბრიკა, მხატვრული ტექსტის თხრობის შეფასების რუბრიკა; პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა; პროექტის შეფასების სქემა და სხვა **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
მათემატიკა	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები კონკრეტული და სასწავლო მიზნების შესაბამისია. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ყოველი სასწავლო წლისთვის ქმნიან და ავითარებენ, ხვეწენ შეფასების რუბრიკებს. მათთან საუბრისას გამოიკვეთა რომ გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის, რომ განმავითარებელი შეფასება ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს პრეზენტაციის, წყვილებში მუშაობის, ურთიერთშეფასების, თვითშეფასების და სხვა რუბრიკები). სასურველია პედაგოგებმა შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, კონკრეტული დავალებისთვის, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა. ასევე, სასურველია პედაგოგებმა შექმნან სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და შექმნის პროცესში ჩართონ მოსწავლეები.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა(კონცეპტუალური ნაწილი)
- კათედრის ოქმები

- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები.
- შეფასების რუბრიკები.
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
- კლასების საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები;
- შემოქმედებითი დავალების მოსწავლის ბარათები;
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში ;
- მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალების (შეფასებით) ნიმუშები;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი, საბაზო და საშალო საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი კლასების კათედრის ოქმები
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები.
- შეფასების რუბრიკები
- ხარისხის მართვის უზრუნველყოფის პოლოტიკა
- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- კლასის მშობელთა კრების ოქმი
- შემოქმედებითი დავალებები სამივე საფეხურზე;
- შემოქმედებითი დავალების ბარათი მშობლისათვის;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემებისა და ცნებების მიხედვით სამივე საფეხურზე;
- შემოქმედებითი დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი რუბრიკა;
- დიაგნოსტიკური წერის რეფლექსია- მე-6 კლასი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში მე-10 კლასში;

- დიაგნოსტიკური შეფასების ანგარიშის ფორმა მე-10 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების ვერიფიკაციის ფორმა მე-10 კლასი;
- განმსაზღვრელი შეფასების ვერიფიკაციის ფორმა მე-11 კლასი;
- 3შემაჯამებელი სამუშაოს თემები და მიზნები მე-11 კლასი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი მე-11 კლასი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, კერძოდ: დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ

	წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმი, ჩატარებული შემოქმედებითი ბუნების დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებითაც. შეკითხვები გაჩნდა დაწყებითი საფეხურის მესამე კლასის კურიკულუმთან დაკავშირებით. დაგეგმილ კურიკულუმში სავალდებულო თემების ჩამონათვალში იყო წიგნის თემები და შესაბამისი საგნის მასწავლებელს ინტერვიუს დროს მიეცა რჩევა. **რჩევა:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის მესამე კლასის კურიკულუმში პედაგოგმა გაითვალისწინოს სავალდებულო თემები ე.ს.გ.-ის სტანდარტიდან და შესამისად დაგეგმოს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	2024-25 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. კათედრის წევრები ერობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში რჩევა: სასურველია საზოგადოებრივი კათედრის დაწყებითი,საბაზო და საშუალო საგნობრივი კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს.**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზ, საშუალო) სასწავლო პროცესი დაგეგმილია პროცესი სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, რაც დადასტურდა, როგორც კურიკულუმების დოკუმენტური ანალიზით, ისე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური ტიპის დავალებები, (პრეზენტაციები, კომიქსი) თემატური მატრიცები როგორც ინგლისურ ასევე გერმანულ ენაში, მასწავლებლების ანგარიში. ინტერვიუზე მასწავლებელებმა დეტალურად ისაუბრეს სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების შესახებ. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში მცირე ცვლილებების შეტანაც. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი პასუხობს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმებში სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ტექნოლოგიები	პედაგოგთა მიერ წარმოდგენილ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს ახლავს რეფლექსიები და მოსწავლეთა ნამუშევრები, საიდანაც დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებებზე, პროექტებსა და ინტეგრირებულ გაკვეთილებზე, საუბრისას მკაფიოდ ჩამს, რომ აქტიურად მიმდინარეობს შემუშავებული კურიკულუმის განხორციელება. თუმცა გეგმავენ რიგი ცვლილებების შეტანას ახალი სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. მომავალში დაგეგმილი აქვთ დიაგნოსტიკური მუშაობა, თუმცა ამჯერად ამის პრაქტიკა არ აქვთ. ასევე წარმოდგენილი აქვთ კათედრის ოქმები,

	დამრიგგებლის ანგარიში, კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში, რომლითაც დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას შინაგანაწესში აღწერილი აქვს როგორ მოხდება ადამიანური რესურსის მართვა შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში და რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. შინაგანაწესის მე-4 მუხლში წარმოდგენილია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი და სკოლის დირექციის რეაგირების წესი.კერძოდ, წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამუშაო ადგილზე დასაქმებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე), გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით და გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.

ზემოაღნიშნული ფაქტების შემთხვევაში, სკოლის დირექტორს აქვს ვალდებულება აკონტროლს დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გამოცხადება, სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვება და სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა. პერსონალის სკოლაში არ გამოცხადების შემთხვევაში მოახდინოს პირის ჩანაცვლება შესაბამისი კადრით.

დირექტორთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საგაკვეთილო პროცესის უწყვეტობისთვის, მასწავლებლის საპატიო მიზეზით არ გამოცხადების შემთხვევაში მასწავლებლის ჩანაცვლება ხდება შესაბამისი კათედრის წარმომადგენელი მასწავლებლის მიერ.

სკოლაში სასწავლო წლის, არდადეგების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლაში სასწავლო პროცესის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. სასკოლო სასწავლო გემაში განსაზღვრულია როგორ შეიძლება

ხდებოდეს სასკოლო კალენდარის მართვა, იმ შემთხვევაში თუ კალენდრის განსაზღვრული სასწავლო დღეები ირღვევა, კერძოდ, სასწავლო კვირა ხუთდღიანია, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები და ზამთრის სეზონზე დღის ხანგრძლივობის შემცირების გამო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით, II-XII კლასებში გაკვეთილების ხანგრძლივობა შეიძლება განისაზღვროს 35 წუთით.

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ამას ადასტურებს ასევე სხვადასხვა კათედრის მიერ შერჩეული სასწავლო პროექტები და დიფერენცირებული დავალებები. კათედრა სამივე საფეხურზე მოსწავლისა და კლასის საჭიროების მიხედვით გეგმავს სასწავლო პროექტებს და მოსწავლეებს თავაზობს შემოქმედებითი ტიპის დიფერენცირებულ დავალებებს. მაგალ ითად, სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ლიტერატურის წრე „ნორჩი მკითხველი“ მეექვსე კლასელთათვის. წრის დებულებით განსაზღვრულია კლასგარეშე არაფორმალური აქტივობების მნიშვნელობა და აუცილებლობა. კლასის საჭიროების მიხედვით, გაწერილია აქტივობები. შესაბამისად, სკოლა ნამდვილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) უზრუნველყოფს გამჭვირვალეობის, ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპებს,რაც ასახულია სამივე საფეხურზე გადმოგზავნილ და შემდგომში მოთხოვნილ დამატებით დოკუმენტაციაში. იყო ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკაც და ინტერვიუს დროს მოხდა დაკონკრეტება, ამ რუბრიკის გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები მოსწავლეებისვის ცნობილია და შესაბამისად ხდება მათი გამოყენება. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ, ერთობლივად წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია

	თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში და ვერიფიკაციის დოკუმენტში აღწერილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების წესები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,რომ მოსწავლეები აქტიურად არიანჩართული შეფასების პროცე სში, მონაწილეობას იღებენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, შეფასების რუბრიკები ცნობილიამოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმები, მაგალითად, თხზულების შეფასების რუბრიკა - აკაკი წერეთლის მოთხრობა ,,ბაში -აჩუკი“; ნაწარმოების შინაარსი კომენტარით - შეფასების კრიტერიუმები; არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები- ჯემალ ქარჩხაძის ,,იგი“ და სხვა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან თანხვედრაშია სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი ისეთი შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა: დავალების პირობისა და ტექსტის გააზრების შეფასების რუბრიკა, მხატვრული ტექსტის თხრობის შეფასების რუბრიკა; პრეზენტაციის

	შეფასების რუბრიკა; პროექტის შეფასების სქემა და სხვა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
მათემატიკა	შეფასების რუბრიკები შესაბამისია ასაკის. მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შედგენილია ობიექტურად სამართლიანობის პრინციპის დაცვით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები,შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ტექნოლოგიები	ამჟამად სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური, რასაც ადასტურებს გაწერილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია.ინტერვიუს დროს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის მუშაობენ შეფასების რუბრიკების დახვეწასა და განვითარებაზე და აპირებენ შეფასების სქემები გააცნონ სასკოლო საზოგადოებას და ჩართონ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების **პროცესში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამოდგენილი აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები დონეების მიხედვით გაწერილი, ასევე მოსწავლისთვის მიწოდებული განმავითარებელი კომენტარის ნიმუში და ასევე ზოგადი რუბრიკები : ზეპირი პასუხის, პრეზენტაციის, ტესტის, პრაქტიკული დავალების, ინფორმაციის მოძიების, ეგრეთ წოდებული შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, რომლებიც მორგებული აქვთ სასწავლო პროცესს და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა მათ აქტიურადაც იყენებენ. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს იმას , რომ

	კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლა შეფასების სისტემის მექანიზმების შემუშავებისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რაც გაკვეთილზე დასწრებით, მასწავლებელთა შორის ურთიერთდასწრებით განისაზღვრება. იგი ეფუძნება, სანდოობის, სამართლიანობის, ობიექტურობის პრინციპებს და მოიცავს პროცედურებს: სინამდვილის დადგენა, ჭეშმარიტების შესწავლა; შეფასების შემოწმების პროცედურა; სტანდარტის შედარება ფაქტებსა და რეალურ ვითარებასთან.

სკოლის მიერ წარმოდენილი დოკუმენტი ,,შეფასების ვერიფიკიაციის მექანიზმი'' ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე მოსწავლის შეფასების მიზნით მოსწავლის მიღწევების შეფასების წესს და მექანიზმს. ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან. შედეგად ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით (დიაგნოსტირება); უჩნდება მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული სასწავლო რესურსები და მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მასწავლებლის თვითშეფასება). კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური შეფასების საფუძველზე მოხდება შედეგების შერწყმა და მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება ესგ სტანდარტთან მიმართებაში. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრების პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები. კლასისა თუ საფეხურის დაძლევა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია E-flow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების შენახვა, კერძოდ: კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები სათანადო ანალიზით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები - მოცემული მატერიალური სახის დოკუმენტაცია სკოლაში ინახება სამი წლის ვადით. ასევე, პედაგოგების მიერ მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღრიცხვა მიმდინარეობს ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, რაც თავისთავად შეფასებების დაცულობის და შენახვის გარანტიას წარმოადგენს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსგ;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის ოქმები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები;
- კათედრების სამუშაო გეგმები;
- კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სკოლის საათობრივი ბადე;
- ხარისხის მართვის უზრუნველყოფის პოლოტიკა;
- კლასების საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები მათემატიკაში ;

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუები პედაგოგებთან;
- საფეხურების საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დროს გამოიყენება სხვადსხვა რესურსები, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სადაც გაკვეთილებს ატარებს ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის საგნები. დამატებით გამოიყენება სხვადასხვა ელექრონულო რესურსები, რაც ასახულია საგნის კურიკულუმებში. ლაბორატორიაში არსებული მატერიალური რესურსები გამოყენებადია და მუშა მდგომარეობაშია. ლაბორატორიის დისტანციური დათვალიერების დროს ჩანდა, რომ ლაბორატორიის ოთახის და მასში მყოფი ყველა კარადის კარები გასაღებით იკეტება და დაცულია. ლაბოარატორიას აქვს ჰაერის გამწოვი, ხელის საბანი ნიჟარა, ცდებისთვის საჭირო სადემონსტრაციო მაგიდა. ასევე უსაფრთხოების ყველა წესი დაცულია და გამოკრულია შესაბამის თვალსაჩინო ადგილზე, რაც მასწავლბლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცხრილები და სხვა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. პედაგოგები აქტიურად იყენებენ ძირითად სახელმძღვანელოებს, სამუშაო რვეულებს, ვიზუალურ, აუდიო და ელექტრონულ მასალებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება შეესაბამება თემატური გეგმების მიზნებს და დადასტურდა როგორც დოკუმენტაციის გადახედვის, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული. მაგალითად, პაატა მამფორიას მოთხრობის ,,ეკამ წერილი მიიღო“ პერსონაჟ სიტყვის კაცისთვის წერილის მიწერა - მე-2 კლასი; ტ. ხავთასის მოთხრობა „მოხუცი და ბროლიას“ პერსონაჟ მოხუცის შინაგანი სამყაროს წარმოჩენა როლური თამაშით - მე-4 კლასი; რ.ინანიშვილის მოთხრობაში ,,მუხა“ გადმოცემული ამბის წარმოდგენა პერსონაჟის ხედვის კუთხიდან მე5კლასი;ნარგიზამგელაძის „უცნობი ბიჭის დღიურის'' მიხედვით პირადი დღიურის ჩანაწერების შექმნა - მე-8 კლასი; „ვეფხისტყაოსნის“ კონკრეტული თავების მიხედვით ანალიტიკური ესეს დაწერა სათაურით: „გულანშარო – უჩვეულო გარემო, განსხვავებული პერსონაჟები და ზნეობრივი ღირებულებები“-მე-10 კლასი; პრობლემაზე ორიენტირებული ესსე- ,,ჩატეხილი ხიდი“ -ილია ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი“ - მე-11 კლასი და სხვ. გარდა ამისა, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური

	და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი პასუხობს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიცუზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ტექნოლოგიები	შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, კურიკულუმში ჩაშენებულია საგანმანათლებლო რესურსების ბმულები და მაგალითები შედარებისთვის, რომლების განხილვა და გამოყენება მოსწავლეთა მხრიდან სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრებიც, რომლებიც ადასტურებს ძირითადი და დამხმარე რესურსების ეფექტურობას. შექნილია მრავალფეროვანი და ძალზე საინტერესო ნამუშევრები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები, მეტ-ნაკლებად აქვთ მაორგანიზებელი სქემები და იშვითად გვხვდება ციფრული რესურსები. თუმცა გასაუბრების დროს მათ ისაუბრეს იმ დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. გამომდინარე აქედან სკოლას მიეცა რეკომენდაცია, კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დიახ სკოლას აქვს შემუშავებული დამატებითი სასწავლო რესურსების ვალიდაციის მექანიზმი. მოწოდებულ დოკუმენტაციაში ჩანს, მოსწავლის ნამუშევრებისა და შეფასების განხილვა და ანალიზი, რაზეც ისაუბრეს პედაგოგებმა ინტერვიუს დროს. მობილიზებიული აქვთ მატერილური რესურსის სახით, (მაგალითად: საბუნებისმეტყველო ლაბოტრატორიის ოთახში განთავსებული რესურსები, პროექტორი...). ასევე მოსწავლეები აგროვებენ საკუთარ ნამუშევრებს, დავალებებს, წარადგენენ პედაგოგებთან და ხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია სპეციალური რუბრიკით. არსებული რესურსები თავმოყრილია სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის ლაბორატორიის ოთახში, რაც ჩანდა დათვალიერების დროს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების გამოყენებამდე განხილვა

	ხდება საგნობრივ ჯგუფებში და საჭიროების შემთხვევაში – სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ვალიდაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ დამხმარე რესურსი არის მიზნობრივი, სანდო და განვითარებაზე ორიენტირებული. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს სკოლა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
მათემატიკა	სკოლში უზრუნველყოფილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ტექნოლოგიები	გამოყენებული დამატებითი რესურსები შერჩეულია კოლეგების ეფექტური თანამშრომლობისა და კათედრათა შორის აზრთა გაზიარების შედეგად. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია**.

3.კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლის პროცესში (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე) სამივე საფეხურზე მატერიალური და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლებისთვის სამივე საფეხურზე, რაც კარგად გამოჩნდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დათვალიერების დროს. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ ლაბორატორიით სარგებლობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემავალ საგნებს შეუძლიათ თანაბრად, რადგან გაკვეთილების ცხრილის დაგეგმარება ამის შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცრილები და სხვა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას.სხვა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები,

	მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფილია მატემატიკის სწავლებისთვის საჭირო რესურსებით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ვითარებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, მე-2, მე-3 კლასებში გამოიყენება ,,ჩემი პირველი კომპიუტერის'' ფარგლებში მოსწავლეთათვის გადაცემული ბუკებიც, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა საზიარო სივრცეები აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის ტექნიკით, რაც სწავლის შედეგების მიღწევას რეალურს ხდის. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე გამოკვეთილი დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათი N 1 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალის/მასწავლებლების ხელშეკრულებების, სკოლის მართვის საინფორამციო სისტემაში არსებული (https://eschool.emis.ge/index.html) მასწავლებელთა მონაცემების, პედაგოგიური საბჭოს ოქმებისა და კათედრის ოქმების შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათი N1 საჯარო სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული საგნის/საგნების სწავლება ხორციელდებოდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და რაოდენობის ადამიანური რესურსით.

პერსონალთან/მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

სკოლაში მასწავლებლებთან გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსის, წამყვანისა და მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;
- საბუნებისმეტყველო მეცნირებების ლაბორატორიის ფოტო-მასალა, ინვენტარი, მატერიალური რესურსი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა, რომ სკოლა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრებიდან გამოითხოვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ანალიზების ფორმებს, ხდება შეჯერება და გაანალიზება, ხოლო შემდეგ, მასწავლებელთა მიერ წარმოებული შუალედური მონიტორინგის შედეგების რევიზიით, ადგენენ ემთხვევა თუ არა მათ მიერ წარმოდგენილი შეფასებები მეთოდოლოგიაში გაწერილ შედეგებს. თუ არ დაემთხვევა, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებას. შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ასევე, კათედრებზე ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, შესაბამისად, ხდება მოსწავლეების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა, რასაც ითვალისწინებენ შემდგომი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2.**მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის N1 საჯაროსკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებით, მასწვალებელთა პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასთან, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. გასაუბრებიდან დგინდება, რომ მოსწავლეთა მიღწევების, შედეგების ანალიზი შემდეგ მასწავლებლები განსაზღვრავენ პრობლემის მოგვარების გზებს, აღნიშნული პროცესი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და შედეგების გაუმჯობესება. ინტერვიურიების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ განხორციელებული მონიტორინგი და შეფასების ანალიზი სამივე საფეხურზე ეხმარება მათ ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთაში, რომლის საფუძველზე კათედრა შეიმუშავებს პრიორიტეტულ და გრძელვადიან მიზნებზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ მოდიფიცირებულ (გაუმჯობესებულ) კურიკულუმს. სწავლა-სწავლება ცოცხალი პროცესია, რომელიც მუდმივ ცვლილებასა და განახლებას მოითხოვს მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ სკოლაში სამივე საფეხურზე ყოველთვის ტარდება მონიტორინგი და მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება სამომავლოდ სამივე საფეხურის კურუკულუმი. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ კათედრის თითოეული წევრი კათედრის თავმჯდომარეს აბარებს შუალედური თუ საბოლოო შეფასების შედეგების ანალიზს, შესაბამისად კათედრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სკოლის ადმინისტრაციასთან. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას და ანალიზს იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისად და რამდენად მიზნობრივად იხარჯება რესურსები, სრულდება თუ არა დაგეგმილი პროცესები, რამდენად ეფექტიანია სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მივყავართ თუ არა სასწავლო პროცესს საგანმანათლებლო შედეგამდე.

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის

განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ამდენად სკოლა გამოხატავს მზაობას, იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგი და შეფასება მომავალში უფრო ეფექტურად გამოხატავს და ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

ავტორიზაციის დროს წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკების ანალიზმა, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი შეფასების მექანიზმების გამოყენებით, რაც შეფასების ჰოლისტურობაზე მიუთითებს, მაგალითად, მოსწავლეთა სწავლის შედეგებისა და მოსწავლეთა თვითშეფასების, მშობელთა კმაყოფილების კითხვარების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გადაიხედოს და გაუმჯობესდეს სასკოლო სასწავლო პროცესი, გამოვლინდეს მიღწევები და ხარვეზები, რომელთა დროული აღმოფხვრა წაადგება სასკოლო კულტურის განვითარების პროცესს. პედაგოგთა თვითშეფასება და პორტფოლიოების წარმოება ასევე ხელს უწყობს სასკოლო კულტურის განვითარების პროცესს. რადგან ყველა მოსწავლე განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებით, სკოლა მათ სთავაზობს შეფასების ისეთ ფორმას, რომელიც მათ ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზეა მორგებული. ამისათვის იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს: ჩანაწერებს, დაკვირვებებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკით მოწმდება შემოქმედებითი დავალება, სასწავლო პროექტი, მისი თითოეული ეტაპი, ასევე არაფორმალური აქტივობები. განმსაზღვრელი შეფასებით მოწმდება შემაჯამებელი დავალებები, ტესტები. მრავალფეროვანი წყაროები ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ შეფასებას, აკონტროლებს სწავლის ხარისხს,

ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს მოსწავლის შესაფასებლად იყენებენ აგრეთვე მასწავლებლის დაკვირვებას, კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან მიღებულ ზეპირ ინფორმაციას. მათი ძირითადი მიზანია მოსწავლეს განუვითარდეს მეტაკოგნიტური უნარები და ამავე დროს მიიღოს ინფორმაცია სასწავლო საჭიროების შესახებ. დაგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებლები ახორციელებენ თითოეული მოსწავლისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება ესგ-ს შედეგების მოთხოვნის შესაბამისად, შეფასება სასწავლო პროცესის წარმართვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სკოლა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებენ განმავითარებელ შეფასების რუბრიკას. იყენებენ გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის რუბრიკებს. იყენებს როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმას, რომლის საშუალებითაც ამომწურავად ახერხებს მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასებას, აფასებს ცოდნის დონეს, გაგება-გააზრების, შეფასების, მსჯელობის, არგუმენტაციის, დასკვნების გამოტანის უნარს, ნასწავლის ტრანსფერულ და შესწავლილი მასალის სინთეზის უნარებს. შეფასებისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მათი მზაობა და საჭიროებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის და კათედრასთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ მასწავლებლებს სწორად აქვთ გააზრებული, თუ რას გულისხმობს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტური ხასიათი და რატომაა მნიშვნელოვანი, რომ შეფასება ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს. მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების სრულფასოვნად შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო. ასევე კათედრა წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრებით, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტებითა ან პრეზენტაციებით; მასწავლებელი სწავლების პროცესში აფასებს არა მხოლოდ კონკრეტულ ამოცანებზე მუშაობას, არამედ იმასაც, როგორ ავითარებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას სხვადასხვა აქტივობაში, როგორ მუშაობს ინდივიდუალურად ან ჯგუფში. შეფასება ითვალისწინებს მოსწავლის ემოციურ მდგომარეობასაც, მის შესაძლებლობებს, წვდომას რესურსებზე და სხვა გარემო ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის შესრულებაზე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასება ხორციელდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რის საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა იყენებს მათ ინტერესებს. კომპლექსური დავალების შესრულების დროს მასწავლებლები აკვირდებიან, რა ტიპის დავალებამ გამოიწვია მეტი ინტერესი და ცდილობენ, რომ მომდევნო დავალება მსგავსი მისცენ, აღნიშნული ეხმარება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში და ამის საფუძველზე გეგმავენ მუშაობას ისე, რომ პრობლემა აღმოფხვრან. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. ყოველივე ამას აღნუსხავენ წერილობით დოკუმენტაციაში. სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: შემაჯამებელი ტესტირების ანალიზი, ჩანაწერების წარმოება, წერითი სამუშაოები, ზეპირი პასუხები, დაკვირვება, პროექტული საქმიანობა და პრაქტიკული დავალებები. თითოეული მეთოდი ასახავს მოსწავლის განსხვავებულ უნარსა და შესაძლებლობას, ამიტომ მრავალფეროვანი მიდგომა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის უკეთ დანახვას. მასწავლებლები აგროვებენ მონაცემებს როგორც ფორმალური შეფასების დროს, ისე ყოველდღიურ სწავლებაში. თვითშეფასება და თანატოლი შეფასებაც მონაცემთა შეგროვების წყაროა, რადგან ის ასახავს მოსწავლის დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართ. ეს მრავალმხრივი ინფორმაცია ეხმარება მასწავლებელს სწორი პედაგოგიური გადაწყვეტილებების მიღებაში, სწავლების დიფერენცირებასა და რეალური საჭიროებების დაფიქსირებაში. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის N 1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ადმინისტრაცია, დირექცია სასწავლო პროცესის შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს: დრო, სივრცე, გარემო, ის გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას და ინტერვენციების განსაზღვრა-განხორციელებას. მასწავლებლები როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების დროს ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს- ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს შემდეგი ფაქტორებით: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან,

დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიმდინარე სასწავლო წელს კურიკულუმის განვითარება და მხარდაჭერა. მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგებმა უნდა გადახედონ ინდივიდუალურად შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებს და სრულყონ შემდეგი თვალსაზრისით, თემებში გაწერონ სამიზნე ცნებები, საკითხების/საკითხთა კლასტერის სრულყოფილი ჩამონათვალი გააკეთონ, გაწერონ შემოქმედებითი დავალებები და რესურსები შეიტანონ შესაბამის ველებში. სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმები. სამივე საფეხურზე კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე, როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. ღიაობა და მიმღებლობა წახალისებულია როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეების იდეების მიმართ. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესში ჩართული პირების მხრიდან მზრუნველობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას სასკოლო სივრცეში, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ სრულყოფილად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, თავი უსაფრთხოდ იგრძნონ, ქონდეთ მასწავლებლების მხარდაჭერის იმედი და თავადაც შეძლონ გაუწიონ დახმარება თანატოლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (კურიკულუმები, კლუბების სამუშაო გეგმები, სასკოლო ღონისძიებები და აქტივობები, სკოლის სამოქმედო გეგმა და სხვ.) და გასაუბრების საფუძველზე, შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ სკოლაში შექმნილია ურთიერთდახმარების, ურთიერთპატივისცემის და სკოლაზე ზრუნვის ატმოსფერო, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის უსაფრთხო სასწავლო, შემოქმედებითი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

სასწავლო პროცესში შექმნილი მხარდამჭერი გარემო, ასევე დასტურდება კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრებებზე მიცემული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე

ერთობლივი მუშაობით, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისგ ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის.

კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას. შემუშავებულია კურიკულუმები. პარალელურად მიმდინარეობს კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, დასკვნების გამოტანა და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. კურიკულუმებში და სამოქმედო წლიურ გეგმაში ასახულია სკოლის პრიორიტეტები. ასევე, გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. სკოლას აქვს მზაობა, მომავალშიც იმუშაოს ამ საკითხებზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინა ვერსიის დანერგვისა და გამოყენების პროცესში დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მოიცავს როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა რეალურ უკუკავშირს. მისი განვითარება ეფუძნება სკოლებში კურიკულუმის პრაქტიკული განხორციელების დროს გამოვლენილ გამოწვევებს, წარმატებებსა და საჭიროებებს. გადამუშავების პროცესში მოიაზრება მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს კათედრის მასწავლებლებს, გამოავლინონ კონკრეტული მიმართულებები, რომელთა გაუმჯობესებაც საჭიროა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ისგ;
- პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 23 ივლისი, 2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: